



ახალი ბუნათმეტყველება

№17 (491) გამოდის 1998 წლიდან

კონსტანტინე გამსახურდია



რეაბილიტაცია, ანუ
რაზომ არ დალიან
მოსწავლავი
სკოლაში?
გვერდი 2

„გზამკვლევი“
საგანმანათლებლო
დაწესებულებისთვის
გვერდი 3

მოსწავლა
შემოქმედი
გვერდი 4

კლიერი პიროვნების
კულტი კონსტანტინე
გამსახურდიას
„დიდოსტამის
მარჯვენაში“
გვერდი 5

სკოლის
ფსიქოლოგთა
დასახმარებლად
გვერდი 6

ანგანთქაგა
გვერდი 9

„...ძულად ბინანტიელებს ეტობდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულები აზნაურები და ღობეუცვლა ებისკოპოსები, მე-
ფეხები ძწვანე ეტლებს მიეჭრფოდნენ და ბინანტოურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი — გურგენ მა-
გისტროსი, პაპაჩემი — ბაგრატი კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინაღმდეგ ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის
ქვეყნებში ატყეხილი ჭირი.

ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, ბაბა, ამიტომაც მშვენიერს, „უცხოს“ უწოდებდნენ, კარგ ქართულ თხილს —
„ბერძნულს“ ხოლო საუკეთესო ტერცესაც — „ბერძნულს“.

სიმთვრალეში კარგი ვაუკაცები ვართ და კარგი რიტორები, ბაბა, ეგაა იღონდ — სიფხინლის დროს ჩაღენილი
ტუდკაცობა სიმთვრალეში გვაიწყლება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქალები უკვე აღარ გეახსოვს გამოფხინლე-
ბულთ.“

რეპეტიტორები, ანუ რატომ არ დადიან მოსწავლეები სკოლაში?



სიმონ ჯანაშია

საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების უმეტესობა იმიტომ არ დადის სკოლაში, რომ უმაღლესის მისაღები გამოცდებისთვის ემზადებიან. ეს მოსწავლეები დადიან რეპეტიტორებთან, რაც გვიჩვენებს იმას, რომ ისინი და მათი მშობლები უმეცხოფილო არიან სასკოლო განათლებით, რაც მათ აფიქრებინებს ალტერნატიული განათლების მიღებაზე. ხშირად გაიგებთ, რომ სკოლა არ აძლევს ბავშვს მალალი ხარისხის განათლებას და შესაბამისად რეპეტიტორთან ნაკლის შევსება ხდება.

შევეცდები განვმარტო, თუ რა არის ამ შეხედულებაში სწორი და რა გულუბრყვილო და ზედპირული ანალიზის პროდუქტი. აქვე თავიდანვე ვიტყვი, რომ რეპეტიტორების ორი ჯგუფი არსებობს, რომლებიც დაბალი კლასებიდანვე მუშაობენ ბავშვებთან და რომლებიც ბოლო კლასებში არიან აქტიურად ჩართული აბიტურიენტების მომზადებაში. ეს სტატია მხოლოდ მეორე ჯგუფს ეხება.

პირველი, რაზეც შეიძლება დავფიქრდეთ ზედა დებულებებიდან გამომდინარე არის ის, თუ რამდენად დადის ან არ დადის ზედა კლასის მოსწავლეების უმეტესობა სკოლაში? ამ კითხვაზე პასუხისას შეიძლება დავფიქრდეთ იმაზე, რომ მე-11 და მე-12 კლასებში საქართველოში თითოეულ კლასში 60,000-მდე მოსწავლე სწავლობს. თუ დავუშვებთ, რომ მათი უმეტესობა არ დადის სკოლაში იმის გამო, რომ მისაღები გამოცდებისთვის ემზადება, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ 60,000 მოსწავლეს უმეტესობა აბიტურიენტია.

თუ სტატისტიკას დავაკვირდებით, დავინახავთ ორ საინტერესო რამეს. პირველი: რომ სულაც არ არის სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების უმეტესობა აბიტურიენტი. უმაღლესში მოხვედრას, პირველივე წელს სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდებით (ეს წლები ყველაზე რეპრეზენტატიულია ალბათ) ცდილობს მოსწავლეების დაახლოებით ნახევარი.

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რასაც ეს ცხრილი გვანდის, არის ის, რომ სკოლის მოსწავლეთა დამამთავრებელი კლასის მხოლოდ 20-25% ხვდება უმაღლესში პირველივე წელს. ანუ ყოველ 60 მოსწავლეში, მხოლოდ 30-მდეა აბიტურიენტი, ხოლო აქედან, საშუალოდ, მხოლოდ 15 აგრძელებს უმაღლესში სწავლას. ჩაბარებულების რაოდენობის მნიშვნელობაზე ქვევით ვისაუბრებ. მანამდე კი შეგვიძლია დავასკვნათ, თუ საქართველოს მოსწავლეთა უმრავლესობა დამამთავრებელ კლასში სკოლაში არ დადის, ეს იმის გამო არ არის, რომ უმრავლესობა აბიტურიენტი. როდესაც ასეთ რამეს აღმოაჩენ, შეიძლება ეჭვიც კი გაუჩნდეს ადამიანს, აცდენს კი უმრავლესობა სკოლას ბოლო კლასებში, მიუხედავად იმისა, არის ის აბიტურიენტი თუ არა? ხომ შეიძლება ისეთებიც აცდენდნენ სკოლას, რომლებიც არ ემზადებიან უმაღლესისთვის. ხომ შეიძლება, რომ ისინი არა რეპეტიტორებთან, არამედ ინტერნეტ კაფეებში დადიან (მაგ. როგორც დუშეთის სკოლის მოსწავლეებმა მითხრეს), ეხმარებიან ოჯახებს, ან უბრალოდ არ დადიან სკოლაში იმიტომ, რომ მათთვის ეს უინტერესოა ან ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული? სამწუხაროდ ამის შესახებ რაიმე სერიოზული კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა და პასუხიც ამის შესახებ უცნობია. რაც კი ნამდვილად ცნობილია, არის შთაბეჭდი-

ლება, რომ არავინ არ დადის სკოლაში ბოლო კლასებში.

იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი შთაბეჭდილება არსებობს, შესაძლოა დავუშვათ, რომ პრობლემა მართლაც არსებობს. ანუ არსებობს მოსწავლეთა დიდი ჯგუფი (შეიძლება ეს არ იყოს უმრავლესობა), რომელიც სკოლის ნაცვლად ხშირად რეპეტიტორებთან დადის იმისთვის, რომ უკეთესი განათლება მიიღოს. ჩემი აზრით, ჩვეულებრივი საშუალო სტატისტიკური სკოლა გაცილებით უკეთესი განათლების მიღების საშუალებას იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივ საშუალო სტატისტიკური რეპეტიტორთან სიარული. ამის დასაბუთება მარტივია და განპირობებულია ასევე საკმაოდ მარტივი მიზეზებით:

ა) რეპეტიტორის ფუნქცია (სახელიდან გამომდინარეც რომ ჩანს) არ არის განათლება, არამედ გამოვრება – ანუ ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, გამოცდებისთვის მომზადება. გამოცდა კი ჩვენს ქვეყანაში ქალაქდობა და კალმით ტარდება. ამ ინსტრუმენტით კი პრაქტიკულად შეუძლებელია ისეთი საბაზისო უნარების შემოწმება, როგორცაა მაგ. მეტყველება, ლიდერობა, ინტერპერსონალური კომუნიკაცია და სხვ.

ბ) რეპეტიტორების უმეტესობა მათი მუშაობის სპეციფიკიდან ვერ იყენებს განათლების იმ მეთოდებს, რომლებიც უკეთეს შედეგს იძლევა სწავლაში – მაგ. სოციალურ დასწავლას, კეთებით სწავლებას და სხვ.

გ) რეპეტიტორებთან სწავლის მიზანი არ არის დამოკიდებულებების გამომუშავება და სოციალიზაცია.

დ) რეპეტიტორებს არ გააჩნიათ პასუხისმგებლობა რაიმე ინსტიტუციის მიმართ და რეალურად არც მათი მუშაობის შეფასება ხდება. ერთი შეხედვით, ბაზარი არეგულირებს ამას, მაგრამ სინამდვილეში ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ რამდენიმე ცნობილი რეპეტიტორი არსებობს, აბსოლუტური უმეტესობა კი სარგებლობს „მრევლის“ კონტრაქტით, მიუხედავად მისი წინა წლების წარმატების ნაკლებობისა. რეალურად მშობლებმა არ იციან, მაგ., წინა წლის რამდენმა აბიტურიენტმა ჩააბარა უმაღლესში წარმატებულად ამ რეპეტიტორთან სიარულის შედეგად.

სკოლა, როგორც ინსტიტუცია, დღეს ზემოთ აღწერილ პრობლემებს უკეთ აგვარებს, ვიდრე რეპეტიტორი. ჩნდება კითხვა, მაშინ რატომ გარბის მოსწავლეების ნაწილი რეპეტიტორებთან?

პასუხი ამ კითხვაზე ერთი წინადადებით შეიძლება გაეცეს შემდეგნაირად: დღეს ძალიან მალაია რისკი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი, რომელსაც უმაღლესში უნდა მოხვედრა, ამ ადგილს ვერ მოიპოვებს ან ვერ მოხვედრა მისთვის ყველაზე სასურველ ფაკულტეტზე.

იმას, რომ რისკი ძალიან მალაია, განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

უმაღლესებში ადგილების რაოდენობის სიმცირე. როგორც ზემოთ ვნახეთ, უმაღლესების ადგილების რაოდენობა მკვეთრად ჩამორჩება მსურველების ან პოტენციური მსურველების რაოდენობას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მაგ. არსებული ადგილების ნახევარზე ნაკლებია ისეთი, სადაც მალაია კონკურსი (მაგ. 3-ზე მეტ აბიტურიენტს სურს თითო ადგილის დაკავება), გამოჩნდება, რომ რეალურად ადგილების რაოდენობა, რომელზეც აბიტურიენტების უმრავლესობას სურს მოხვედრა, კიდევ უფრო დაბალია.

გამოცდების სისტემის დაუხვეწაობა. აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი:

გამოცდების პროგრამა – ერთი მხრივ, ის არ ემთხვევა სასკოლო პროგრამას და სცილდება მას. მეორე მხრივ (და ეს პრობლემა, ჩემი აზრით, კიდევ უფრო თვალსაჩინოა), ის მეტორმეტე კლასის ბოლოს მოთხოვს მაგ. მე-7, მე-8 და შემდეგი კლასების პროგრამის ცოდნას, რაც აიძულებს აბიტურიენტს, მეტორმეტე კლასში დაიწყოს გადამეორება წინა კლასების პროგრამის. მაგ. ქართულის საგამოცდო პროგრამაში ნათქვამია, რომ მოსწავლემ უნდა იცოდეს „ხმელი ნიფელი“, გამოცდებში წარმა-

ტების კრიტერიუმია არა რაღაცის ცოდნა, არამედ რაღაცის ცოდნა სხვაზე უკეთესად. აბიტურიენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რაც ნიშნავს, რომ რაც არ უნდა კარგი მასწავლებელი მყავდეს მე, არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ჩემს კონკურენტს უკეთესი მასწავლებელი არ ჰყავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბიტურიენტი ვერანაირად ვერ აკონტროლებს თავის შედეგს, რადგან ის დამოკიდებულია სხვის შედეგებზე. შესაბამისად, წინასწარ განჭვრეტა იმისა, თუ რამდენად წარმატებული იქნები მისაღებ გამოცდებზე, შეუძლებელია. ამასთან ერთად, აბიტურიენტის წარმატებას განსაზღვრავს უამრავი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი: მაგ., ფაკულტეტების არჩევის ტაქტიკა, ტესტის დროს კონცენტრირების უნარი, კულტურული ფაქტორები და სხვ.

ჩასაბარებელი გამოცდების სიმრავლე. რაც უფრო მეტია გამოცდა, მით მეტია იმის ალბათობა, რომ სოციალურად დაუცველი მის ჩაბარებას ვერ შეძლებს (გარდა იმისა, რომ უმაღლესში სწავლა შესაძლოა ძვირია ბევრისთვის, ასევე დასაშვებია, რომ მომზადების სიძვირის გამოა სწორედ ის, რომ სკოლა დამამთავრებულების ნახევარი არც ცდილობს ჩაბარებას). ერთი შეხედვით, გამოცდების სიმრავლე წინაპირობაა იმის, რომ უფრო განათლებული ადამიანები მიდიან უმაღლესში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა. იხ. საინტერესო კვლევა იმის შესახებ, უწყობს თუ არა ხელს ტესტირება ცოდნის ამაღლებას (High-Stakes Testing, Uncertainty, and Student Learning).

გამოცდების ინტენსივობა. ტარდება წელიწადში მხოლოდ ერთხელ, რაც ამცირებს შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას.

წარმოსახვითი წარმატების კრიტერიუმები. ის ადამიანები, რომლებსაც მშობლებმა შე-

საძლოა რჩევით მიმართოს, დაინტერესებულნი არიან, რომ მათ წარმოსახვაში გამოცდებზე მისაღწევი წარმატება დამოკიდებული იყოს რეპეტიტორთან სიარულზე. რეპეტიტორების უმრავლესობა თავად სკოლის მასწავლებელია, რომელიც დაბალი შრომის ანაზღაურების გამო, გაკვეთილების შემდეგ, კერძოდ ამზადებს საკუთარ ან სხვა სკოლის მოსწავლეებს. შესაბამისად, მათ პირდაპირი ინტერესი აქვთ, დაანახონ მშობლებს, რომ მათ გარეშე თითქოს შეუძლებელია უმაღლესში ჩაბარება. ეს ის ჯგუფია, რომელსაც პრინციპში აწყობს, რომ უფროსკლასელები სკოლაში არ დადიან.

ამ რისკების მინიმალიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნება რეპეტიტორების გავლენის შემცირება სკოლაზე და, ამავდროულად, სკოლის გავლენის გაძლიერება. მხოლოდ ეს არ იქნება საკმარისი. ანუ მხოლოდ მასწავლებლის ხელფასის მომატება, უმაღლესებში ადგილების გაზრდა და გამოცდების სისტემის იმგვარად შეცვლა, რომ ერთმანეთთან შეჯიბრის ნაცვლად, მოსწავლეები ძირითადად დაწესებულ სტანდარტს შეეჯიბრონ, არ იქნება საკმარისი. საჭიროა ასევე სკოლის მიღწევების გათვალისწინება სკოლის შემდგომაც. ეს გულისხმობს არა მხოლოდ სკოლის ნიშნების გათვალისწინებას, არამედ მოსწავლის აქტიურობასაც სხვადასხვა სოციალურ თუ აკადემიურ სფეროებში (კლუბები, კონკურსები, თვითმმართველობა და სხვ.). თუმცა ამის მისაღწევად საჭიროა, რომ ამუშავდეს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – სკოლების აკრედიტაცია. მანამდე ამ სისტემის ამუშავება სკოლებში კორუფციის აფეთქებას გამოიწვევს.

ამირან მექვაბიშვილი

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, მექვაბიშვილების გვარის საზოგადოების პრეზიდენტი



ჩვენი გვარის ისტორია

ძართველი კაცის ეროვნულ-ზნეობრივ სახალხო კოდექსში ბუნებრივად არის ჩაძსოვილი სიტყვა: „გახსოვდეს, ვინც ბორისა ხარ“. ის უმაღლესი ზნეობრივ-ეთიკური მოთხოვნა და ნორმატივია. და გართლაც, გვარები ძველნიანთვის იგივეა, რაც სისხლქარვეები ჩვენს სხეულში. ამ სისხლქარვეებს მუდმივი ზრუნვა, გაფრთხილება, გამრავლება, შესწავლა და დაფასება ესაჭიროება.

საქართველოში გვარების შესწავლა დაწყებულია. მას უძღვება საზოგადოება „გვარიშვილობა“, რომელმაც უკვე გამოსცა რამდენიმე ტომი. მე ყველა გვარს პატივს ვცემ, ყველას გაგებით ვეკიდები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენ საკუთარი გვარი მაინც ყველაზე ძვირფასად მიგვაჩნია. ამაში გასაკვირი არაფერია. ეს განცდა საერთოა.

ჩემი გვარი „მექვაბიშვილი“ მე მეამაყება. მართალია უბრალოა, არ არის ძალიან პოპულარული, მაგრამ ის კი უდავოდ ნათელია, რომ იგი მოდის ერის წიაღიდან, ერის შრომისმოყვარეობიდან, ერის ძლიერების – ლითონის გამოდნობა-დამუშავების უნარ-ჩვევებიდან, რკინის, ფოლადის ჭედვაში დახელოვნება-დაოსტატებისგან.

ასეა თუ ისე, მეც, როგორც რიგით ადამიანს, ალბათ, თავისიანის გრძნობამ, სიყვარულმა მაფიქრებინა, მომეწვია ჩემი გვარის წარმომადგენელთა შეკრება ქ. თბილისში. ეს იყო 2000 წელს. მას შემდეგ მეოთხედ შევიკრიბეთ. დიდი სიამაყის გრძნობა გვეუფლება, როცა ხედავ შეკრებებზე შენი გვარის ცნობილ, ხანდაზმულ პიროვნებებს, ხედავ ახალგაზრდობას, რომლებიც შეიკრებიან, რომლებიც უკვე უკვე გვეუფლებიან. ამ დაუფინყარმა, თბილმა შეხვედრებმა მიკარნახა, დამეწერა და ნაბეჭდი წიგნის სახით წარმომედგინა მექვაბიშვილების გვარის ისტორია. ერთი წლის წინ, ვისაც ვიცნობდი, ყველას გაუფგზავნე კითხვარი და თხოვნა – გამოეგზავნათ სათანადო მონაცემები ამა თუ იმ რაიონში მცხოვრები თანამოგვარების, თავის შესახებ. მექვაბიშვილთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სწორად გამოეგზავნა.

გამორიცხული არ არის, ეს წიგნი მომავალში უფრო სრულყოფილად გამოიცეს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საბანკანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი

პატივცემულ მოქალაქეებო, წინა ნომერში დავიწყეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირების საბანკანათლებლო, სააღმზრდელო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის (ტექსტში შემდგომ „დაწესებულება“) სახელმწიფო შესყიდვების თემის მნიშვნელოვანი და აქტუალური ნაწილის განხილვა, რასაც დღევანდელ ნომერში გავაგრძელებთ და შემოგთავაზებთ იმ სიახლეებს, რომლებიც გაითვალისწინა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობა და რომლებიც მხედველობაში მისაღები და შესათვისებელია შემდგომი მუშაობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში წარსამართავად.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამის ნორმაში, რომელიც ადგენს ამ კანონის გავრცელების სფეროს, მითითებულია, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განადგობისა და განადგობასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე. ამ ნორმაზე ყურადღება გავამახვილებთ შემდეგი კუთხით – დაწესებულებების ნაწილმა (საჯარო სკოლები) შესაძლოა ჩათვალოს, რომ ვინაიდან მათ დაწესებულებაში რიცხული მოსწავლეების სწავლება ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერით და შესაბამისად სკოლა იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას, ამ დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები არ ექცევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის რეგულაციის სფეროში, რაც ზემოაღნიშნული ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია იქნება. მოკლედ და კონკრეტულად რომ განვმარტოთ, ეს ნორმა არ ეხება საჯარო სკოლების მიერ განხორციელებად სახელმწიფო შესყიდვებს და შესაბამისად, ამ შესყიდვებზე სრულად ვრცელდება ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა;

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამის ნორმაში მითითებულია ლოტის განმარტება, რაც მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ძალას კარგავს და აღნიშნული ნორმა აღარ იმოქმედებს;

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამის ნორმაში პრეტენდენტი განმარტებული იყო, როგორც საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური და სატენდერო მოსაკრებელი (მოსაკრებლის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული განმარტება შეცვლილ იქნა და კანონი მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ვეთავაზობს ამ ტერმინის სახეცვლილ განმარტებას, რომელიც უმნიშვნელოდ განსხვავდება ამჟამად მოქმედისაგან. კერძოდ, პრეტენდენტი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური. რამდენადაც ვხედავთ, მოცემული ნორმიდან ამოღებულ იქნა სატენდერო მოსაკრებლის ცნება, ხოლო საფასური (რაც ნორმის შინაარსში შენარჩუნებულ იქნა და მოქმედებს მიმდინარე წლის 1 მარტიდან) განმარტებულია, როგორც სატენდერო წინადადების წარდგენისათვის, ამ კანონით დადგენილი ოდენობით ამავე კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება;

მიმდინარე წლის მარტიდან ძალაში გადაუდებელი აუცილებლობის სახეცვლილი განმარტება და გადაუდებელი აუცილებლობა განმარტებულია, როგორც ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება დაფიქსირდეს ნინასნარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. აღნიშნული განმარტების ამ სტატიაში შეტანის მიზანშეწონილობა განვსაზღვრეთ იმ მიზეზით, რომ დაწესებულებებს ხშირ შემთხვევაში უწევთ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში შესყიდვების განხორციელება, ვინაიდან მათი საქმიანობა მოქცეულია გარკვეული დაგეგმარების რეჟიმში (სახელმწიფო პროგრამები და სხვ.), რომლებსაც საკუთარი ვადები გააჩნიათ და ამ ვადების დარღვევა დაწესებულებისა და სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის, პირიქით მათი ინტერესია და-

გეგმილი მუშაობის ვადების სრული დაცვა. შესაბამისად შესაძლებელია დაწესებულება ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდეს შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, თუმცა, რა თქმა უნდა, ხსენებული გადაუდებელი აუცილებლობა (ინდივიდუალურად) დასაბუთებადი უნდა იყოს, სწორედ ზემოაღნიშნული ნორმის ფარგლებში;

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან უქმდება ფასთა კოტირების ცნება, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში შესყიდვის ელექტრონული საშუალებების შემოღებასთან;

მიმდინარე წლის მარტიდან ძალაშია ახალი ტერმინები შესყიდვების კანონმდებლობაში:

შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი, რომელსაც ანარმობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად ელ. ფორმით და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. ამ რეესტრში აისახება შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც რეესტრში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში;

მიმდინარე წლის მარტიდან ძალაში შევიდა ელექტრონული საშუალებების ცნება და ელსაშუალებები განმარტებულია, როგორც საშუალებები, რომლებითაც შესაძლებელია ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის, ციფრული დამუშავება), მიღება-გადაცემა, გავრცელება და შენახვა საკაბელო, ოპტიკური, სამაუნყებლო ან/და სხვა ელექტრონული საშუალებებით;

მიმდინარე წლის მარტიდან ძალაში შევიდა ისეთი ცნებები, როგორიცაა ელექტრონული ტენდერი, ორტაპიანი ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული შესყიდვა, ელექტრონული ვაჭრობა. გამარტივებულ შესყიდვაში იგულისხმება გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გათვალისწინებულ შემთხვევაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, ან 2 000 ლარამდე ღირებულების საქონლისა და მომსახურების და 5 000 ლარამდე ღირებულების სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირდაპირ დადებით ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ანდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის ან ელექტრონული ტენდერისათვის გათვალისწინებული პროცედურებით; გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში იგულისხმება 100 000 ლარამდე ღირებულების საქონლისა და მომსახურების და 200 000 ლარამდე ღირებულების სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალება. გამარტივებული ელექტრონული ტენდერით განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის ვადა არის არანაკლებ 3 დღისა; ელექტრონულ ტენდერში კი იგულისხმება 100 000 ლარის ღირებულების ზევით საქონლისა და მომსახურების და 200 000 ლარის ღირებულების ზევით სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალება; ორტაპიანი ელექტრონულ ტენდერში იგულისხმება ელექტრონული ტენდერის სახეობა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც, შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ეკონომიკური და ტექნიკური პირობის ნინასნარ განსაზღვრა და შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია ელექტრონული ტენდერის პირველ ეტაპზე ელექტრონული ტენდერის პროცედურებში მონაწილეობის მსურველებთან მოლაპარაკების გამართვა ტექნიკური მაჩვენებლების, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით; ელექტრონულ ვაჭრობაში იგულისხმება ვაჭრობა

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რაც ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემადგენელი პროცედურაა და რომლის დროსაც პრეტენდენტს ინტერნეტის საშუალებით შეუძლია შეცვალოს წარდგენილი შეთავაზება შესყიდვის პროცედურაში გამარტივების მოპოვების მიზნით. ხსენებული განმარტებანი ძალაშია მიმდინარე წლის მარტის თვიდან, თუმცა სავალდებულოა შესასრულებლად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვარკვევთ, რომ დღემდე არსებული შესყიდვის საშუალებები და მონეტარული ზღვრები, რომლებიც ძალაშია მხოლოდ მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე, იცვლება და მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან აღარ იმოქმედებს. მათ ნაცვლად შემოდის ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები. ამ საშუალებათა შინაარსი შემდეგია – ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით (მათი განმარტებები უკვე განვიხილეთ). სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1. საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად;

2. არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს;

3. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;

4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა შესყიდვების განხორციელება;

5. ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და კომპიუტერული ტექნიკის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებითა და კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლება; ასეთ შემთხვევაში ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და კომპიუტერული ტექნიკის ღირებულების ნაწილი ანაზღაურდება ადრე შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და კომპიუტერული ტექნიკის მიმწოდებლისათვის დაბრუნებით ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემით, რომელიც ახდენს მსგავსი პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციას.

ამავე დროს მოქმედი კანონმდებლობა საზღვრავს, რომ დაუშვებელია შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია;

ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ დარჩენილი თანხებით შესყიდვის განხორციელება დასაშვებია ამ კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრების დაცვით;

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით კანონმა გაითვალისწინა გარდამავალი პერიოდი და დადგინა, რომ 2010 წლის 1 მარტიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე შემსყიდველი ორგანიზაციებს უფლება აქვთ სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ თავიანთი შეხედულებისამებრ, ელექტრონული შესყიდვების საშუალებით ან მათ გარეშე;

2010 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების დადგენის მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული შესაბამისი კლასიფიკატორის აღიარებას.

... ხდები ოდნავ უკეთესი ვიდრე იყავი



7 მაისს, 181-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – დარეჯან ქადაგიძე) მწერალ გურამ დოჩანაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ირინე ჩლაიძე იყო. ბატონ გურამ დოჩანაშვილისადმი მისასალმებელი სიტყვა – ესე „ფიქრები გურამ დოჩანაშვილზე“ XII კლასის მოსწავლემ მარიამ მოსიშვილმა წაიკითხა.

მოსწავლეებმა რომანის „სამოსელი პირველი“ ინსცენირება წარმოადგინეს. სპექტაკლმა მსაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ირინა ჩლაიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „დღევანდელი ღონისძიება დიდი ხნის წინ დაიგეგმა, იდეის ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ან გარდაცვლილი,

ბათუნა მეტონიძე იყო, რომელიც ოცნებობდა, სკოლაში მისი საყვარელი მწერალი, გურამ დოჩანაშვილი მოგვეწვია. სამწუხაროდ, ბათუნას მოულოდნელი გარდაცვალების გამო მწერალთან შეხვედრა არ შედგა. მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა, კოლეგებმა გადაწყვიტეს ოცნება რეალობად გვექცია და გურამ დოჩანაშვილი მოგვეწვია. მიხარია, რომ დღეს იგი ჩვენთანაა. მწერალთან შესახვედრად მოსწავლეები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ, ძალიან ბევრი იშრომეს. იმედი მაქვს, მათ მიერ სცენაზე გაცოცხლებული რომანის გმირები სათანადოდ წარდგებიან მსაყურებლისა და თავად მწერლის წინაშე. ასე რომ, დღეს მათ დიდი გამოცდა ელით“.

დარეჯან ქადაგიძე, 181-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „დღევანდელ ღონისძიებას ორმაგი დატ-

ვირთვა აქვს, ბატონი გურამ დოჩანაშვილის სკოლაში მოწვევით პატივი მივაგეთ ბათუნა მეტონიძის ხსოვნას, რომელიც ოცნებობდა ამ დღეზე. ბათუნას დანყებული საქმე ბოლომდე მისმა მეგობარმა ირინე ჩლაიძემ მიიყვანა. დღეს ჩვენ ყველანი არაჩვეულებრივი ღონისძიების მონაწილე ვაგვხდით. ბედნიერი ვარ, რომ ბატონმა გურამმა სპექტაკლი მოგვჩვენა, ჩვენთვის მის შეფასებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.“

გურამ დოჩანაშვილი, მწერალი: „დიდი მადლობა იმისათვის, რომ ასე ძალიან გიყვარავართ. მე დღეს თქვენგან უამრავი სიტბო და სიყვარული ვიგრძენი. სწორედ ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო. მიხარია, რომ მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი ჩემი რომანის ინსცენირებას. სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა

ჩემზე. მადლობას გიხდით იმისათვის, რომ თქვენი პედაგოგის, ბათუნა მეტონიძის სურვილი სისრულეში მოიყვანეთ და მისი ჩანაფიქრი განახორციელეთ. დიდი მადლობა, რომ ასეთი ბედნიერი და დაუვიწყარი წუთები მაჩუქეთ“.

ღონისძიებაზე ასევე მოეწყო 181-ე საჯარო სკოლის ვებგვერდის პრეზენტაცია. გურამ დოჩანაშვილის ვებგვერდზე მოსწავლეები დიდი ხანი მუშაობდნენ. როგორც ქალბატონმა ირინემ გვითხრა, ვებგვერდზე მუშაობის პროცესში თავად ბატონი გურამიც იყო ჩართული. მოსწავლეები არა ერთხელ შეხვედნენ მწერალს, სახლშიც სტუმრობდნენ, ესაუბრებოდნენ, გაეცნენ მის შემოქმედებას, რამაც კიდევ უფრო გაულრმავათ მწერლისადმი პატივისცემა და სიყვარული. ღონისძიების დასასრულს, მწერალმა მოსწავლეების მიერ დასმულ

უამრავ შეკითხვას უპასუხა, ისაუბრა შემოქმედების შესახებ, გაიხსენა განვლილი ცხოვრების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, მოიგონა საუკეთესო მეგობრები, თანაკლასელები... დაბოლოს, მოსწავლეებს რჩევა-დარიგებაც მისცა: „გიყვარდეთ ნივინი, გიყვარდეთ ლიტერატურა, რადგან ყოველი ლიტერატურული ნაწარმოების ნაკითხვის შემდეგ, ხდები ოდნავ უკეთესი ვიდრე იყავი“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელობა, გლდანის-ნაძალადევის მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენლები, 181-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები, ახალგაზრდა პოეტები და მწერლები.

მაკა ყიფიანი

მოსწავლე შემოქმედი

სარკე

ზღაპარ-აგზავი

ზღაპარი ფანტასტიკური, თითქმის დაუჯერებელი ამბების კიდობანია. თუმცა, მასში ზოგჯერ ფანტასტიკური და დაუჯერებელიც რეალური ხდება...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სევდიანი გოგონა.

სევდა ტკივილია, მარადიული ფიქრი და ნუხილია; სიხარულს გადაჩვეული გოგონა ირგვლივ ყველაფერს მუქ ფერებში ხედავდა. ერთხელაც გაიღვიძა და მის წინ წამოსკუპული მომღიმარი კაცუნა დაინახა.

– ნუ მიყურებ ასე გაცოცხლებული, – უთხრა გოგონას კაცუნამ, – მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ოღონდ პატარა ტანის, ჯუჯას მესახიან. მიინდა შენთან ვიმეგობრო, დაგეხმარო დარდისა და ტკივილის გადატანაში.

– ეჰ, ჩემო კარგო, განა ეს ასე ადვილია; რამდენჯერმე ვცაღე დამძლია ტკივილი, მაგრამ არ გამომივიდა. ადრე მეც ჩვეულებრივი, მხიარული ვიყავი. სიცოცხლე მიყვარდა, შევხაროდი ცას, მზეს, ვარსკვლავებს... ახლა კი მარტო ვარ. ტკივილი დღეები მხოლოდ სიზმრებში და მოგონებებში დარჩა, – თქვა გოგონამ და თვალეებში უფრო მეტად ჩაუდგა სევდა, – ყელში რაღაც მიჭერს, მახრჩობს, სუნთქვა მეკვრის. ვერ ვხვდები, რატომაა ცხოვრება ასეთი სასტიკი. ჩემი საყვარელი ადამიანები სახლის ნანგრევებში მოჰყვნენ და დაიღუპნენ... რა დააშავეს, რატომ მომბენ ადამიანები? ომი, ნგრევა, სიკვდილი საშინელებაა... მე ეს ჩემი თვალთ ვნახე.

ჯუჯამ გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, ჯიბიდან პატარა სარკე ამოიღო, გაუნოდა და უთხრა: ეს სარკე ჯადოსნურია, სულს გაგიტობს და სასიამოვნო განწყობილებას შეგიქმნის, შენთვის მიჩუქნია. ოღონდ იცოდე, ძი-



ანა ბარკალაია აბაშის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

ლის წინ სარკეში გალიმებულმა უნდა ჩაიხედო და გაქრა.

გოგონამ სარკეს დახედა, შევძლებ კიო, ჩაილაპარაკა. დღე უსაშველოდ გაიწვია. როგორც იქნა შებინდდა. სარკე აიღო, თავს ძალა დაატანა და შიგ გალიმებულმა ჩაიხედა... სარკის მიღმა სულ სხვა სამყარო დაინახა, – ფერადი, უჩვეულო; სითბოთი და სიკეთით სავსე თვალეებმა შემოანათეს, – ეს დედის თვალეებია; შეხება იგრძნო – დედის ხელები ეფერებოდნენ; ერთი, ორი, სამი... ნამი წამს გადაეხა; დედას ჩახუტებულმა მისი ხმაც გაიგონა: „შვილო, სევდასა და ტკივილზე არ იფიქრო; შენ ჩემი სიცოცხლის პატარა ნაპერწკალი ხარ; გააღვივე ეს ნაპერწკალი და იგრძნობ – სიცოცხლე მშვენიერია...“, ხილვის დროც დასრულდა.

გაღვიძებულს პირველად სარკემიდან შემოსული მზის სხივი მიესალმა. გარეთ გამოსულმა ცას ახედა, როგორ გალამაზებულაო,

– ნამოიძახა; დაიხარა, მიწას შეეხო, საოცრად თბილი ეჩვენა, აგერ მწვანე ბალახი, აგერ ყვითელი ყვავილი, ვარდის სურნელიც ეცა, ფუტკრის ზუზუნიც გაიგონა; ფეხზე წამოდგა, ხელები გაშალა, თითქოს სიცოცხლის სურნელი პირველად შეიგრძნო, მიხვდა, სევდიანი ცხოვრება დასრულდა, წინ დიდი სიყვარული ელოდებოდა – ამ ცის, ამ მიწის, ამ ქვეყნის სიყვარული.

ბაღარჩენა

მთელი ღამე გადაუღებლად თოვდა. თოვლის საბურველში ეხვეოდა სოფელი, ეულად დარჩენილი პაპა მახარეს ქოხიც.

სიკეთის მთესველი იყო მოხუცი მახარე. „კაცი მკვდრად არ ითვლება, თუ მას სოფელი

კეთილად მოიგონებს“, – იცოდა თქმა. სხვისი გასაჭირი გულთან მიჰქონდა, სხვისი სიხარულიც საკუთარით ახარებდა.

უხვად მოსულმა თოვლმა დილიდანვე გუნება გაუფუჭა მოხუცს, თავის თავზე მეტად განძის ბედი აღეღებოდა, რომელსაც მასთან ერთად სამუდამოდ დამარხვა ელოდა. ეს განძი კი უნიკალური ქართული ხელნაწერები იყო. ამ ხელნაწერებს ის მთელი სიცოცხლის მანძილზე ეძებდა, აგროვებდა, უფრთხილდებოდა, ეფერებოდა თითოეულ ასოს.

მახარე ჯიუტად მიათრევდა მარხილს, რომელზეც კიდობანი იყო.

– უნდა გადავარჩინო ეს განძი, უნდა გავუძლო, უნდა გავიდე სამშვიდობოს, – თავის თავს აგულიანებდა მოხუცი, დაილალა. დიდი მუხის ქვეშ ჩაიშურებდა; ძილს არ უნდა მიწებდეს, თორემ გაიყინება, თოვლში ჩაიძარხება, იცის, მაგრამ თვალეები მაინც მიღულა... – პაპა, გაიღვიძე, საშიშია აქ ძილი... გაიღვიძე!..

მოხუცმა დამძიმებული თვალეები ძლივს გააღო და პატარა ბიჭუნა დაინახა, რომელიც გულმოდგინედ ცდილობდა ჩაძინებული, თითქმის განწირული მოხუცის გამოფხიზლებას.

– რა კარგია, რომ გაიღვიძე, პაპა, – ცისფერთვალეა ბიჭუნას ღაწვზე სიხარულის ცრემლი გადმოუგორდა.

– ის არის, ღმერთო, შენ მიშველე – მისუსტებული ხმით წარმოთქვა მოხუცმა (სანამ გზას გაუდგებოდა, მოხუცს ხილვა ჰქონდა – პატარა ბიჭმა განძი ჩამოართვა, გულში ჩაიკრა...)

– გადარჩა, – გაიფიქრა და შვებით ამოისუნთქა.

– ნავიდეთ, პაპა!

– ნავიდეთ.

წინ დიდი გზა იდო. მოხუცს უკვე აღარ ეშინოდა – განძი საიმედო ხელში იყო.

გამოსაუარება

როსა პლაგიატის სოდვას სილისონამებლობას ემატება

წერილში „უსირცხვილოს თუ არ ცხვენ...“, როგორც გეხსომებათ, ვინმე ლევან იზორიას უტიფარ პლაგიატობაში ვამხედლი. უკანასკნელის მიხედვით პირველად მხოლოდ მას მოსვლია თავში აზრი, რომ ილია ჭავჭავაძე „ოხრანკა“- ჟანდარმერიისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების (ძირითადად ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენლების) ერთობლივი ძალისხმევით ყოფილა მოკლული. ამაზე პასუხი ავტორმა ამა წლის „ახალი განათლების“ 15-21 აპრილის ნომერში, ცხადია, ვერ გასცა. იგი დასჯერდა ოდენ სოფისტურ ფრაზებს: „როცა ამა თუ იმ სამეცნიერო ნაშრომის ან ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებაზე მიდგება საქმე, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს მხედველობაში მისაღები ორი რამ: პირველი – დადებითი მხარე და მეორე – უარყოფითი. ამის შემდგომ განხილული უნდა იყოს ორივე გარემოება და შეფასებაც აქედან გამომდინარე გაკეთდეს.“ ვიმეორებ ლ. იზორიას „ნაშრომი“ პლაგიატია და მისი დადებითი მხარის წარმომჩენა ნამდვილად არ შემოიძლია. მიუთითებდი აგრეთვე ფაქტობრივ შეცდომებსა და ალოგიკურობებს, რომელთა გაგრძელება კვლავაც შემეძლო. გამოჩნდა, რომ ავტორს არავითარი საფუძველი არ ჰქონია თავის მართლებისა. ამდენად, სხვა მის მდგომარეობაში მყოფი, მხოლოდ ოდნავი პატიოსნების მქონე, განუმეებას ამჯობინებდა.

ვითარი ფასეულობა არა ჰქონია. კითხვა ის-მის: მაინც რომელი აზრი, იდეა მოვიპარე ან რომელ ავტორს თუ ავტორებს მოვპარე? ამის თაობაზე ლ. იზორია დუმს და ოდენ მტკნარ ცილისნამებას სჯერდება. რა დამრჩენია? – დანვრითებით „ვიმაროვნი თავი“ და ვამტკიცო, რომ „ილიას ფენომენის“ იდეები ნამდვილად ჩემია? რასაკვირველია, ამ გზას ვერ დავადგები. ისე, ავტორს ვურჩევდი ამის შესახებ საზოგადოებრივობისთვის მოხსენების სახით (დარბაზის გამონახვა ჩემზე იყო) ან ბეჭდურად მოეხსენებია.

მეტიან თვითონ ბატონი ექვთიმე, ივანე მაჩაბელი და ალექსი ჭიჭინაძე, ხოლო შესაბამის ხანად – 1892 წელი, თვითონ „კვალი“ კი გამოვიდა 1893 წლის 3 იანვარს.

„შემიძია“ თავი? დაბოლოს, არ შემოიძლია აღშფოთება არ გამოვთქვა შემდეგი გარემოების გამო. როგორც შევიტყვე, ლ. იზორიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პუბლიცისტურულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულმა დაუშთავრებია და თავის ნიგნაკში ასახული თემა აქ დაუტყავს. ნუთუ ამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შესაბამის წრეში ერთი პირიც კი არ გამოჩნდა, ვინც მიხედვით ნაშრომის ნამდვილ ხასიათს? ნუთუ ამ წრეში ერთსაც კი არ ნაუკითხავს ადრულთი თემის თაობაზე 2004 და 2005 წლებში გამოქვეყნებული ვრცელი მონოგრაფიები? ასევე, ნუთუ რეცენზენტ-ისტორიკოსს, სამეცნიერო წოდებით პროფესორს, არ უნდა სცოდნოდა ნამდვილი ამბავი? შევიტყვე ისიც, რომ ლ. იზორიას მოძღვარი ყოფილა პროფ. ვახტანგ გურული, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით ხშირ შემთხვევაში სენსაციებს არის გამოდევნებული, რის გამოც მე იგი ბეჭდური სახით არაერთხელ მიმხედავ. მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ დიდად თავგამოდებული შეგირდი ამჯერად შეცადა თავისი მოძღვრის ღირსება-მუნდრის დაცვას. იქნებ ეს უკანასკნელიც ხელს უწყობდა მსგავსი მცდლობის გაღვივებას? როგორც უნდა იყოს, ასეთი რევანში დიდ ვერაფერ საქმეს წარმოადგენს.

საუბრაი ლიტერატურაზე

„ვაჟკაცურად ებრძოდა წინამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს“

კლიერი პიროვნების კულტი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“

„თანამგზავრებს ეძიებს შემოქმედელს, არა ცხენდართ, არა ჯოჯას, არა ხალხს, შემოქმედელს ეძიებს თანამშემოქმედელს, რომელნი სწერენ ახალ საუფუჯეს ახალ ფიცარზე.“

ორივე მიმართულებით. მამალი ხოხობი და ავაზა მწერლის საყვარელი სახე-სიმბოლოებია რაინდული სულისა და ვაჟკაცობის დემონსტრირებისას, ღამესთან ბრძოლა კი უდავოდ ცხოვრებასთან ჭიდილთან ასოცირდება. საგულისხმოს, რომ ეს ფრაზა მხოლოდ ერთხელ განიცდის სახეცვლილებას, როცა მარჯვენამოქმედელი უტა სიკვდილის ელის, მწერალი წერს: „დიდხანს ებრძოდაო მამალი ხოხობი ღამეს.“ ვფიქრობთ, ამ ერთი სიტყვის შეცვლით მწერალმა გაცილებით მეტი გვითხრა, ვიდრე ათი მარტივი წინადადებით გვეტყოდა.

სპასალარისა და გიორგი მეფის ვერაჯულ ზრახვებს (ძელიცხოვლის მონაშენა და მერე ამ ჯვრით ჭიბურის მოკვდინება), და მაინც რჩება წმინდა, შუაგულყვანილი, მისი სიუფთავე და უდანაშაულობა არავის თვალში არ ბადებს ეჭვს, მწერალი ქედს იხრის ასეთი მტკიცე ნების მქონე ადამიანის წინაშე. მაგრამ სწორედ მეტყველებს იმ ფიგურა, რომელმაც არ დაინდო ღმერთთან მეტროპოლი იაკობის სურათის ავტორი, დიდოსტატს მკრეხლობა და ამპარტავნება დასწამა და სასიკვდილოდ განირა. ნაწარმოებში ბინძური მდინარის პროტოტიპიც მოიძებნება, ასეთია ფარსმან სპარსი, კაცია – უსამშობლო, ურწმუნო, უმეგობრო, შურიანი, ღვარძლიანი, თუმცა, იმავდროულად, ბრძენი, ირიბმეტყველებით განთქმული და პიროვნულად ძლიერი (რამდენჯერ აწამეს, მაგრამ რკინისმკვანეტელი ხმლების საიდუმლო ვერ ათქმევინებს). გრძობს რა, რომ არსაკიდე მას ჯავანის მხატვრობაშიც და ხუროთმოძღვრებაშიც, ცინიკურად დასციინის, ცდილობს, გააუბრალოვოს მისი შრომა და ირიბულად ბნელმეტყველება. მისთვის ცხოვრება „უდაბნოა ურწყული და უნდა ეცადო, გარს შემოუარო“. ურწყული უდაბნოა ქრისტიანული თვალსაზრისით იმიტომ ჰგავს ცხოვრებას, რომ ნუთისოფელი სავსეა ათასგვარი ცდუნებითა და განსაცდელით, ამიტომ უნდა ეცადო, სუფთად გაიარო შენი ცხოვრების გზა. მაგრამ ფარსმანისთვის მართლა უწყლო უდაბნოა ცხოვრება, მას წყლის მიმწოდებელი არავინ ჰყავს ქვეყნიერებაზე, ამიტომ ილუბება უთვისტომოდ, უპატრონოდ თვის-ტომთა შორის. დიდოსტატის სიმბოლო – მამალი ხოხობი – ფარსმანის პორტრეტის ხატვისას გაკვირვებულ არის ნახსენები, თუმცა ესეც საკმარისია, რომ მკითხველი მიხვდეს, ფარსმანს ეშინია მამლის, იმიტომ

ბურამ ყორანაშვილი

ბანვითარების თანამედროვე თეორიები



რუბრიკას უძღვება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თამარაშვილი

დასაწყისი იხ. №12, №13, №17

გავრცელება 8-დან 11 წლამდე

ასაკობრივი ამოცანები
ამ ასაკში ბავშვი ინტენსიურად ითვისებს სასიცოცხლო უნარებს, განსაკუთრებით სასკოლოს. ბავშვს სურს, ჰქონდეს მიღწევები, წარმატებული იყოს და პოზიტიური იმიჯი ჰქონდეს. ასევე, სურს ჰყავდეს ახლო მეგობრები, თანატოლთა მხრიდან აღიარება და მხარდაჭერა მოიპოვოს. თუ ბავშვი ვერ იქნება წარმატებული ყველა ამ სფეროში, თავს არასრულყოფილად იგრძნობს და საკუთარი შეზღუდულობის მიმართ მეტად მგრძობიარე იქნება. თუ მშობლები, მასწავლებლები ან მეგობრები დასცინებენ იმის გამო, რომ რაღაც არ გამოდის, ბავშვს საკუთარ სრულფასოვნებაში ეჭვი შეეპარება და ჩათვლის, რომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევას ვერ შეძლებს.

რის გაკეთება შეუძლიათ მშობლებსა და მომვლელებს?

- უპირობოდ უყვარდეთ ბავშვი;
- ასაკის შესაბამისად, სიტყვებით და ფიზიკურად გამოხატონ სიყვარული;
- შეზღუდვებით, დამამუშავებელი ქცევითა და სიტყვიერი შეხსენებებით დაეხმარონ ბავშვს გრძობების, განსაკუთრებით უარყოფითი ემოციებისა და იმპულსების მართვაში;
- აუხსნან ბავშვს წესებისა და შეზღუდვების საფუძვლიანობა;
- შეაქონ მიღწევებისა და მოსაწონი ქცევებისათვის;
- წარმოსახული სიტუაციებით ავარჯიშონ სხვადასხვა პრობლემების დაძლევაში;
- ბავშვთან ერთად განიხილონ სხვადასხვა საკითხები (გრძობები, სიძნელეები);
- შეუთავსონ ბავშვის დამოუკიდებლობა მის შესაძლებლობებს;
- ბავშვის შეცდომებისა და წარუმატებლობის შემთხვევაში არ მოაკლონ მას სიყვარული და თანაგრძობა;
- შეუთანხმდნენ ბავშვს მისი დამოუკიდებლობის გაზრდაზე, იმაზე, თუ რას მოელიან მისგან;
- წახალისონ ბავშვი, აიღოს პასუხისმგებლობა თავისი ქცევის შედეგებზე, ამასთანავე, განუვითარონ რწმენა და ოპტიმიზმი სასურველი შედეგების მიღწევაში;
- ასწავლონ რთულ სიტუაციებში შესაბამისი სიცოცხლისუნარიანი ქცევის შერჩევა.

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების მავალი ფაქტორები

სიტუაცია – 11 წლის გოგონას მოსაველეად სამი წლის ძმა ჰყავდა დატოვებული, როცა სახლს ხანძარი გაუჩნდა. გოგონა შეეცადა, შეეღწია მძასთან, მაგრამ ვერ შეძლო. ბოლოს სახლიდან გაიქცა, ძმამ კი სასიკვდილო დამწვრობა მიიღო. მშობლები განავითარებენ სიცოცხლისუნარიანობას, თუ მთელ ოჯახთან ერთად გაიზიარებენ მწუნარებას და გოგონას თავიანთ სიყვარულში დაარწმუნებენ (მე მყავს); თუ გოგონას საშუალებას მისცე-

მენ, უთხრას მათ, როგორ ცდილობდა ძმის გადარჩენას (მე შემიძლია); თუ დაეხმარებიან გოგონას, პასუხისმგებლობის გრძობა გამოაცალკევოს ძმის გადარჩენის სურვილისაგან (მე ვარ); თუ გოგონას ტრავმადიის გადატანაში დაეხმარებიან.

მშობლები ვერ განავითარებენ სიცოცხლისუნარიანობას, თუ გოგონას დაადანაშაულებენ იმისთვის, რომ ძმა ცეცხლიდან არ გამოიყვანა. ბავშვში დანაშაულისა და სირცხვილის გრძობებს გაამძაფრებენ, რაც სამომავლოდ სიძნელეებთან გამკლავების უნარს დაასუსტებს.

სიტუაცია – ცხრა წლის გოგონას სკოლისაკენ მიმავალ გზაზე, ყოველდღიურად, იმ ადგილის გავლა უხდება, სადაც უფროსი ბიჭები ჯგუფურად დგანან. ისინი ეძახიან, დასცინიან და ზოგჯერ ხელსაც კრავენ. გოგონა ისე დაშინდა, რომ საერთოდ უარი თქვა სკოლაში სიარულზე და დედასთან ავადმყოფობა მოიმიზეზა. დედა კი იცის, რომ ბავშვი ჯანმრთელია.

მართებული პასუხი:
„დედა ბავშვს ექიმთან ნაიყვანს, მაგრამ როცა აღმოჩნდება, რომ არაფერი აწუხებს, სკოლაში გააცივდება. მაშინ ბავშვი ნამდვილ მიზეზს გაანდობს. დედა ეცდება, ბავშვს შიში დააძლევინოს და ურჩევს: „ჯერჯერობით შენს მეგობრებთან ერთად იარე“. ბავშვი დედას ეთანხმება და შემდეგ სთხოვს, ნულარ მიაცილებს სკოლაში“.

არამართებული პასუხი:
„დედა უშვებს ბავშვს სკოლაში და უბნება, რომ სამიში არაფერია. ბავშვს ისევ ეშინა, მაგრამ მაინც მიდის“.

„დედა ყოველდღე აცილებს ბავშვს სკოლაში და ძალიან შეზუხებულია ამ პრობლემის გამო. ბავშვი უხალისოდ დადის სკოლაში“.

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების შედეგები მე მაქვს

სანდო ურთიერთობები
მშობლებს უპირობოდ უყვარვარ და მათი იმედი მაქვს. ისინი ხშირად მეუბნებიან, როგორ ძლიერ ვუყვარვარ და რამდენად ამაყები არიან იმით, რომ მე მათი შვილი ვარ. ვიცი, რომ მათ მამინაც ვუყვარვარ, როცა რამე ცუდს ვაკეთებ ან ცუდ ხასიათზე ვარ. ისინი ჩემს დამშვიდებას ცდილობენ, რათა თავი უკეთ ვიგრძნო. ჩვენ შეგვიძლია იმაზე ლაპარაკი, რაც მანუხებს. მე სხვა ადამიანებთანაც სანდო ურთიერთობები მაქვს – მასწავლებლებთან, სხვა უფროს ადამიანთან. სასიამოვნოა, როცა ამდენი საიმედო და საყვარელი ადამიანი გყავს.

განრიგი და წესები სახლში

მე უკვე აღარ მჭირდება იმდენად მკაცრი რეჟიმი სახლში, როგორც აქამდე. ჩემი მშობლები ნებას მრთავენ, შინ ცოტა უფრო გვიან დავბრუნდე, თუმცა სახლში ყოფნის დრო მაინც განსაზღვრულია. მე პატივს ვცემ ჩემი ოჯახის რეჟიმს. მომეთხოვება ვინაა რა სახლში სისუფთავის შენარჩუნებაზე, შემიძლია მოვუარო ჩემს დას ან ძმას, ვაკეთო საოჯახო საქმე და დახმარება ვითხოვო, როცა დამჭირდება. ვიცი, რა მოჰყვება ჩემ მიერ წესების დარღვევა. მსჯიან, მაგრამ ფიზიკურად – არა. შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა შემეშალა, და მე შემიძლია, ჩემი მხრიდან, ავხსნა, რატომ მომივიდა ეს. ხანდახან სასჯელის ფორმაზე ვთანხმდებით. მშობლები და ოჯახის სხვა წევრები ვიკრიბებით და მომხდარს ხელახლა ვაანალიზებთ.

როლური მოდელები
მშობლების საქციელის მაგალითზე ვსწავლობ, როგორ უნდა მოვიქცე სხვადასხვა სიტუაციებში. თუმცა, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ისინი არც ისე კარგად მოიქცნენ.

შემიძლია მათ ვკითხო, რატომ მოიქცნენ ამგვარად, მაგრამ ვფრთხილობ, რომ არ ვიყო კრიტიკული. ეს ჯერ მათი უფლებაა და არა ჩემი. მყავს ასევე სხვა ადამიანები (მასწავლებლები, ნიგნის ან ფილმის გმირები), რომლებიც ჩემთვის მისაბამი არიან. ვაკვირდები, როგორ იქცევიან და რას ამბობენ ისინი. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სწორად არ იქცევიან და ვცდილობ, იგივე არ გავიმეორო.

ავტონომიურობის ნახლისება

მშობლები ჩემგან უფრო მეტ განაწვევტილებებს მოელიან. საშუალებას მაძლევენ, პრობლემა თვითონ დავძლიო, თუ დამჭირდა, შემიძლია რჩევა ვკითხო, ისინიც დასახმარებლად მზად არიან.

ჯანმრთელობის, განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და დაცვის მომსახურება

მე და ჩემი ოჯახის წევრებს შეგვიძლია, საჭიროების დროს, ექიმს მივმართოთ. დავდივარ სკოლაში, სადაც ბევრ რამეს ვსწავლობ და სადაც თავს კარგად ვგრძობ. მე მომწონს ადამიანები, რომლებიც მასწავლებიან და უამრავი ამხანაგი მყავს. ჩვენს ოჯახს დახმარების მიღება შეუძლია სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებიდან ან მათგან, ვინც იცის, თუ რა გააკეთოს განსაკუთრებული პრობლემების დროს. ჩვენს საზოგადოებას ჰყავს პოლიციელები, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას იცავენ.

მე ვარ საყვარელი და მიმზიდველი ხასიათის.

ვიცი, რომ ადამიანებს მოვწონვარ. ვცდილობ, სხვებს ვასიამოვნო – გავუწინაო საკვები, ვაჩუქო საჩუქარი, ვავაგებინო, რომ მათი ნახვა და დახმარება მახარებს. ასევე, ვცდილობ საკუთარი ქცევის მართვას – არც ძალიან სწრაფად ვმოქმედებ და არც ძალიან ნელა, ადამიანებს თავს არ ვაბეზრებ.

საკუთარი თავით ამაყი

საკუთარი თავს პატივს ვცემ და სხვებისგანაც იმავეს მოველი. საკუთარი თავით და მიღწეული წარმატებებით ვამაყობ, არ ჩავიდენ ისეთ რამეს, რაც შემარცხვებს. თუ რამე მაინც მესწება, ვცდილობ გამოვასწორო და ისევ კარგად ვიგრძნო თავი. ვიცი, რომ სხვებისთვის მოსაწონი ვარ, რადგან მათზე ისევე კარგად ვზრუნავ, როგორც ჩემ საკუთარ თავზე.

ავტონომიური და პასუხისმგებელი

ვიცი, რომ სულ უფრო და უფრო მეტი რამის კეთება შემიძლია და ამასთან ჩემი პასუხისმგებლობაც იზრდება. ჩემი ქცევა გავლენას ახდენს სხვების ქცევაზე და მოვლენითა განვითარებაზე. არ შემიძლია სხვების დადანიშნულება, როცა თვითონ მეშლება რამე. ასევე ვსწავლობ, როგორ განვასხვავო ერთმანეთისგან ჩემი და სხვისი მოქმედების შედეგები. ეს მეხმარება ჩემი პასუხისმგებლობის საზღვრების ცოდნაში. ვცდილობ ჩემი შეცდომის გამოსწორებას ან ბოდიშს ვიხდ.

იმედით, რწმენით და ნდობით საესე

მჯერა, რომ ყველაფერი კარგად მოგვარდება და მომავალი კარგი იქნება. ასეთი მომავლის შექმნაში ჩემს პასუხისმგებლობასაც ვგრძობ. მაშინაც, როცა შეცდომებს ვუშვებ, მჯერა, რომ მათი გამოსწორება შეიძლება და ყველაფერი კარგად იქნება. სულ უფრო მეტად ვსწავლობ კარგისა და ცუდის გარჩევას, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ადამიანები ყოველთვის ვერ თანხმდებიან იმაში, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი.

მე შემიძლია ურთიერთობა

მშობლებთან ლაპარაკი შემიძლია ჩემს მზარდ დამოუკიდებლობაზე, მომავალზე, ჩემს მოთხოვნ-

ლებზე, იმაზე, რას მოელიან ჩემგან და რა სურთ. შეგვიძლია განვიხილო ჩემი განსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები, შევთანხმდეთ პრობლემების გადაჭრაზე. შემიძლია ურთიერთობა ჩემს მეგობრებთან, მათთვის ჩემი ფიქრებისა და გრძობების გაზიარება.

პრობლემის მოგვარება

ხშირად ვახერხებ პრობლემის ყველა მხრიდან დანახვას და გადავხსნამ. შემიძლია მასწავლებელს დახმარება ვთხოვო, როცა რამეს ვერ ვგებულობ, შემიძლია ველაპარაკო მეგობარს ან ვინმეს, როცა ურთიერთობაში პრობლემა მაქვს. სანამ ვიმოქმედებ, შემიძლია ჩემი განაწვევტილებები გავიზარო.

საკუთარი გრძობებისა და იმპულსების მართვა

შემიძლია ამოვიცნო საკუთარი გრძობები და მათ სახელი დავარქვა. შემიძლია ამოვიცნო და დავასახელო სხვისი გრძობებიც. ასევე, ვცდილობ გავარკვიო, რამ გამოიწვია ეს გრძობა ჩემში ან სხვაში. ეს მაშინ მეხმარება, როცა საკუთარი აზრებისა და გრძობების გამოხატვა მინდა და მაშინ, როცა სხვას ვუსმენ. ვცდილობ, თავი დავიმშვიდო და ვიფიქრო, სანამ იმპულსურად ვიმოქმედებ.

საკუთარი და სხვისი ხასიათის შეფასება

მშენიერად ვიცნობ საკუთარ თავს. ვიცი, როგორი რეაქცია მაქვს საგნებსა და მოვლენებზე. ზოგჯერ ადვილად ვყვები სხვებს, ზოგჯერ კი დაძალებს მჭირდება რამის გასაკეთებლად. ზოგი ჩემი მეგობარიც ასეა. როცა ერთად ვართ, ვფრთხილობ, რამე სულელური არ ჩავიდინო. ჩემი მეგობრებიდან ზოგი შეიძლება ჩემნაირი იყოს, ზოგი – განსხვავებული. ეს მეხმარება ვიცოდე, თუ ვისგან რას შეიძლება ველოდე.

სანდო ურთიერთობების მოძებნა

შემიძლია მოვძებნო ვინმე, ვისი დახმარების იმედიც მაქვს გარკვეული შემთხვევებში. ეს შეიძლება იყოს მშობელი, მეგობარი ან სხვა ადამიანი. ისინი იზიარებენ ჩემს განცდებს, ინტერესებს, იმედებსა და ოცნებებს, გვერდში მიდგანან, როცა მიჭირს.

ამრიგად, პიროვნების სიცოცხლისუნარიანობის განვითარება ადრეული ასაკიდანვე იწყება და უშუალოდად დამოკიდებული იმ ადამიანებზე, რომლებიც ბავშვის გარემოს ქმნიან – მშობლებზე, აღმზრდელებზე, მასწავლებლებზე. ბავშვი შეიძლება მათი ქცევა და დამოკიდებულება განსაზღვრავს, თუ რამდენად ექნება ბავშვს, შემდგომში მოზრდილს, სხვა ადამიანებთან კონსტრუქციული და პოზიტიური ურთიერთობების უნარი, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, თავდაჯერებულობა, სირთულეების დაძლევისა და პრობლემების მოგვარების, განსაცდელში ზიანის თავიდან აცილების უნარი. სიცოცხლისუნარიანობის ენა ეხმარება მოზრდილებსაც და ბავშვებსაც, ეფექტურად წარმართონ ქცევა სიცოცხლისუნარიანობის განვითარებისკენ.

ჩვილობა (ახალშობილში, ტოღლიერაში) – დაგადავიდან 18-24 თვეამდე

ფიზიკური და მოტორული განვითარება

- საშუალოდ, ახალშობილი დაახლოებით 3-4 კგ-ს იწონის, სიგრძე დაახლოებით 50სმ-ია. სიცოცხლის პირველი წელი სხეულისა და ტვინის სტრუქტურების ინტენსიური განვითარებით ხასიათდება;
- ჩვეულებრივ, ახალშობილის წონა 4-თვისთვის ორმაგდება, 12 თვისთვის – სამმაგდება, 18-თვისთვის

– ოთხმაგდება. შემდგომში ზრდის ტემპი კლებულობს;

• რეფლექსების უმრავლესობა 2-3 თვისთვის ქრება, რადგან ორგანიზმის მართვას და კონტროლს ტვინის ცენტრები იწყებენ;

• საგნის მხედველობით წარმართული მიწვევა მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელსაც ჩვილი დაახლოებით 5-6 თვისთვის აღწევს;

• წვრილი და მსხვილი მოტორიკა სიცოცხლის პირველი ორი წლის განმავლობაში და შემდგომ რთულდება და პროგრესირებს; სიარულის სწავლა დროში ძალიან განსხვავებულია, მაგრამ ჩვილების უმრავლესობა 18 თვისთვის უკვე დადის;

• დაახლოებით 12 თვისთვის ჩვილების უმრავლესობას „პინცეტური ალბის“ კარგად განვითარებული უნარი აქვს;

• ჩვილების არასრულფასოვანი კვება ფართოდ გავრცელებულია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. არასრულფასოვანი კვება გამოვითარებს, ზრდის შეფერხებას იწვევს;

• დედებს, რომლებსაც ძუძუთი კვებასთან დაკავშირებით ბიოლოგიური ან სხვა უკუჩვენებები არ აქვთ, ექსპერტები ერთხმად ურჩევენ მიმართონ ბუნებრივ და არა ხელოვნურ კვებას, უკიდურეს შემთხვევაში – მშობიარობის შემდგომ პირველ თვეებში; ზოგიერთი დედა შეიძლება 2-3 წლამდე ძუძუთი კვებას.

სენსორული განვითარება

• უკვე დაბადებისას გრძობათა ორგანოები კარგადაა განვითარებული. პერცეპტული შესაძლებლობები შეზღუდულია;

• ახალშობილები ადამიანის სახის ნაკვეთების მიმართ მაღალი გრძობითობით გამოირჩევიან და დედის სახის ცნობას უკვე 2 კვირის ასაკში სწავლობენ; ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჩვილებს ამ ასაკში, ასევე, შეუძლიათ სახის გამომეტყველების იმიტირება;

• ჩვილების უნარი, განასხვავოს სახეები და სახის გამომეტყველებები, პირველი 6-7 თვის განმავლობაში სწრაფად ვითარდება, ისევე როგორც სხვა ბინოკულარული უნარები, მათ შორის სიღრმის ბინოკულარული აღქმა;

• უკვე რამდენიმე დღის ასაკში ახალშობილები უამრავ სხვადასხვა ბგერაზე რეაგირება და მათი წყაროს ლოკალიზება შეუძლიათ, კიდევ უფრო ადრე ისინი სხვა ბგერებთან შედარებით უპირატესობას ადამიანის ხმას ანიჭებენ;

• დაბადებისას გემოს, ყნოსვისა და შეხების სისტემები კარგადაა განვითარებული.

კოგნიტური განვითარება

• ჩვილობის ასაკში კოგნიტური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ნივთებით თამაში;

• ჩვილობის პერიოდში მიბაძვა სულ უფრო რთულდება. დადგენილია, რომ უკვე სიცოცხლის პირველი წლის შუაში ჩვილებს დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ იმიტაცია შეუძლიათ;

• დახსომების უნარი საკმაოდ ადრე ვლინდება. ჩვილებს განსაკუთრებით კარგი მხედველობითი მეხსიერება აქვთ;

• სიმბოლურ თამაშს ჩვილები 6-12 თვის ასაკში იწყებენ;

• ობიექტების პოტენციური შესაძლებლობების აღქმა ჩვილობის ადრეულ ეტაპზე იწყება.

გაგრძელება იქნება

საგანმანათლებლო კარები

აჭარა - ეროვნული კულტურის აკვანი

„ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცნი, ჩვენი თან ერთად „მებრძოლი შავიბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი... დღეს ჩვენ შემოგვიერთდა.“

ილია ჭავჭავაძე

„აჭარამ უნდა მოაქციოს სრულიად საქართველო.“
ილია II

სამხრეთ საქართველოს ძირითადი შემადგენელი ნაწილი, აჭარა, ეროვნული კულტურისა და განათლების ჭეშმარიტი აკვანი იყო. აქ იქმნებოდა სულიერი და მატერიალური კულტურის ნიმუშები. ხანძთის, ტბეთის, ხახულის, ოშკის, ზარზმის, ხინონმდის, ბანას, იშხანის, პარხალის, დიდაჭარის, თხილვანის, სამების, არტანუჯის, გამონათლევისა და სხვა ეკლესიებში, ციხე-კოშკებსა და სამონასტრო ცენტრებში სისხლსავსე კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება დღევანდელს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის და-წინაურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქრისტიანობას სამასი წლით ადრე ეზიარნენ აჭარაში ვიდრე მირიან მეფე ეკურთხებოდა და აკურთხებდა ერსაც ქრისტიანობის რწმენაზედ. „...და ქადაგებდა ანდრია საცა არ ზღუდე აფსარი...“ გვაუწყებენ ანტიკური სამყაროს მოღვაწენი და აქედან „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელს დიდაჭარა ეწოდებოდა...“

რუსთაველის თანამედროვე და ღირსეული თანამეკამე, აჭარის სახელოვან ერისთავთერისთავის შთამომავალი, სახელგანთქმული მწერალი, მეცნიერი და ასტრონომი აბუსერის ძე ტბელი ხიხაძის მკვიდრი იყო.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად აჭარა ოსმალთა დამპყრობლებმა დაიპყრეს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განმავლობაში გმინავდა ჩვენი კუთხე გადამთიელთა უღლის ქვეშ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განმავლობაში ნადგურდებოდა ქართველი კულტურა, ხუროთმოძღვრების ძეგლები, მონასტრები. მოისპო ქართული წიგნი, დაიხურა სკოლები, იდევნებოდა ქართული ენა. ხალხს ერთადერთ სულიერ საზრდოდ მაჰმადიანური რელიგია მიუგდეს. განათლების მთელი სისტემა მედრესეთი იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, მტერმა მაინც ვერ ჩაკლა ქართული სული, ვერ ამოძირკვა მამულის სიყვარული, ვერ მოსპო ერის მთავარი ბურჯი - ქართული ენა, ქართული ადათ-წესები, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი. ქართველი კაცი საუკუნეთა მანძილზე სიცოცხლის ფასად წმინდად ინახავდა რჯულსა და ეროვნულ მეობას. თედო სახოკია, რომელმაც მე-19 საუკუნის 90-იან წლებში შემოიარა აჭარა, წერდა: „აჭარლებმა ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად და დახეთ რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და მხნეობით არიან შემკულნი“.

ქართველ ხალხს, ცნობილ მამულიშვილებს ერთი წუთითაც არ ასვენებდათ ფიქრი მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე, საქართველოს გაერთიანებაზე.

და აი, დადგა ეს ნანატრი მომენტიც. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსთა მხედრონისა და ქართველი მამულიშვილების თავგანწირული ბრძოლის შედეგად აჭარა, არტანი, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი და სხვა ქართული მტრისაგან მიტაცებული მიწები საქართველოს დაუბრუნდა.

აჭარის აღორძინებისა და განვითარებისათვის ზრუნვა მისი დედასამშობლოსთან დაბრუნების პირველი დღიდანვე დაიწყო ქართველმა მამულიშვილებმა. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა სკოლას ენიჭებოდა. მას უნდა მოემზადებინა ერისთვის გონებით და გულით გაღვივებული ადამიანები.

აქედანვე იწყება საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის, მისი ყველა რეგიონის ზრუნვა, დახმარებოდა სამუსლიმანო საქართველოს განათლების კერების გახსნაში, სკოლების დაარსებაში, დახმარებოდა ეკონომიკურად, კადრებით, აწონილი სიტყვით და საქმით. ისტორიამ არაერთი მაგალითი შემოგვინახა იმის თაობაზე, რომ მატერიალური ყოფით არცთუ ისე განვითარებული ქართველი ხალხი, მისი ინტელიგენცია, თითქმის ყველა რეგიონიდან საკუთარ ლუკმას იკლებდა, თანხას აგროვებდა, საღამოებს აწყობდა, ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა წერილებს აჭარლებისათვის ნივთიერი მატერიალური დახმარება რომ გაენიათ. მაგრამ განსაკუთრებულ და გადაუდებელ ამოცანად იქცა აჭარაში ცოდნის შეტანა, სკოლების გახსნა, ქართველი ანბანის გავრცელება.


გაზეთი „დროება“ (1880 წ. №227) სვამს კითხვას: „რა არის



შეროშვილი



აბაშვილი



აბაშვილი



აბაშვილი

ისეთი საშუალება, რომელიც ნამდვილ ძმებად, ერთი დედის შვილებად გაგვხდის ჩვენ, ჩოლოქს იქეთა და ჩოლოქს აქეთა საქართველოს შვილებს? ასეთი საშუალება აჭარაში სკოლების გახსნაა. - თავადვე პასუხობს კითხვაზე გაზეთი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართველ მამულიშვილთა ზრუნვას და ძალისხმევას ადგილზეც ნაყოფიერი ნიადაგი ჰქონდა. ადრეც და შემდგომ წლებშიც აჭარაში მოღვაწეობდნენ ქართული ეროვნული იდეებით განმსჭვალული პატრიოტები: სელიმ ხიმშიაშვილი (სიკვიდილის წინ თურქებს მიმართა: მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალის არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავეუტოებო), შერიფ ხიმშიაშვილი, იბრაიმ აბაშიძე, ხუსეინ აბაშიძე, ნური ხიმშიაშვილი, მეშქე აბაშიძე, ხუსეინ ბეჟანიძე, ლომან-ეფენდი ქარცივაძე, გულო კაიკაციშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, აბდულ მიქელაძე, დედე ნიჟარაძე და სხვები. ისინი თავდაუზოგავად იღვწოდნენ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების, მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების გამოვლინების, ქართული სკოლების, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნისა და საერთოდ სილატაკიდან, სიბნელიდან და უმეცრებიდან გამოყვანისათვის.

განათლების პირველი კარები

დიდი ერისკაცის - ილია ჭავჭავაძის, ასევე სხვა მამულიშვილთა დღენიდაგ ზრუნვით, მოღვაწეობით და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძალისხმევით, 1881 წლის 23 მარტს, ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. ეს იყო პირველი ნაბიჯი აჭარაში განათლების სისტემის განვითარებისათვის.

როგორც იყო 1881 წლამდე განათლების სისტემა აჭარაში?

აჭარის განათლების ყოფილი მინისტრი, ცნობილი პედაგოგი და სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ ნულუკიძე წერს: მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე აჭარაში სასწავლებელი არ იყო. მხედველობაში არაა მისაღები ის გარემოება, რომ ბათუმში იყო დაბალი ტიპის - ბერძნული სამრევლო სკოლა, რომელიც 1861 წელს დაარსებულა. ასევე თურქული და წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესიის სასწავლებელი. გარდა ამისა, ქედამი 1870 წლიდან არსებობდა მუფტის სკოლა, რომელიც ხოჯებს და მოლებს ამზადებდა. ასევე, აჭარაში ფუნქციონირებდა 207 მედრესე.

ქართული სკოლის გახსნის, მატერიალური ბაზის მოსამზადებლად და ფინანსური საშუალებების გამოსანახავად ბათუმში სამეგრეო ჩამოვიდა ილია ჭავჭავაძე. იგი სკოლის გახსნასაც დაეხმარა და სიტყვაც წარმოთქვა.

ამ ისტორიული მოვლენის გამო გაზეთი „დროება“ 1881 წლის მარტში (№60) წერდა: „ძლივს! როგორც იყო ძლივს გვაღირსა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თ.ი.გ. ჭავჭავაძე“.

წ.კ.გ. საზოგადოებამ სკოლისათვის 240 მანეთად დაიქირავა სამოთახიანი ახალი სახლი ეზოთი მაშინდელ ახმედის ქუჩაზე. სკოლაში მიიღეს 28 მოსწავლე. მათ შორის 12 მაჰმადიანი ქართველის შვილი იყო. სწავლის ქირა წელიწადში ექვს მანეთს შეადგენდა. ილიას განკარგულებით, მისგან თავისუფლდებოდნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველი მოსწავლეები.

ბათუმის პირველი ქართული სკოლა ერთკლასიანი იყო, სწავლების ოთხწლიანი კურსით. ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ფა-

რული კენჭისყრით აირჩიეს პირველი მასწავლებელი, პეტერ-ბურგის სამედიცინო აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი.

სკოლის მთავარი ამოცანა იყო, პირველ რიგში, ქართველ მაჰმადიანთა შვილები მოეზიდათ, რაც გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაჰმადიანური რელიგიის ზოგიერთი მსახური მშობლებს მოუწოდებდა, შვილები სკოლაში არ გაეშვათ. ამ მდგომარეობით შეწუხებული იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხადაძე და სხვები სისტემატურად სტუმრობდნენ ამ სასწავლო კერას. მდგომარეობა გამოსწორდა ადგილობრივ მკვიდრთა, ღირსეულ მამულიშვილთა დახმარებით.

უპირაინა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რუსეთის რეაქციული ძალების და ოსმალთა დამპყრობლების ნაქეზებით, ასევე ცხოვრების ძიძვე პირობების გამო აჭარაში მუშაჯირობა დაინიშნა - ხალხის მიერ მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება და თურქეთის პროვინციებში გადასახლება. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, აჭარა-ქობულეთიდან მუშაჯირობა წავიდა 60 ათასზე მეტი პიროვნება. ამ პროცესს წინ აღუდგნენ ცნობილი მამულიშვილები: შერიფ ხიმშიაშვილი, ლომან ეფენდი ქარცივაძე, აბდულ მიქელაძე, გულო-აღა კაიკაციშვილი, დედე-აღა ნიჟარაძე და სხვები. ერთობლივად ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. მუშაჯირობა შეჩერდა, ასობით მუშაჯირობის მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის გურიის მთავარს, წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს - გრიგოლ გურიელს. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი სახალხო სკოლების გახსნა, განათლებისა და ქართული ეროვნული თვითშეგნების აღორძინება აჭარაში.


ბათუმის პირველი სკოლის პირველმა მასწავლებელმა, ალექსანდრე ნანეიშვილმა მხოლოდ წელიწადნახევარი იღვანა, თუმცა ამ მოკლე დროშიც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწორა.

1882 წლიდან, ათი წლის განმავლობაში, მასწავლებლად და სკოლის გამგედ მუშაობდა შესანიშნავი პედაგოგი და პატრიოტი, სახალხო განათლების ბრწყინვალე ორგანიზატორი მოსე ნათაძე. მან დიდი როლი შეასრულა ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვისა და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში. თედო სახოკია წერდა: „მესიტორიემ არ უნდა დაივიწყოს ის უანგარო ღვაწლი და ამაგი, რა ღვაწლი და ამაგი დაგვდო მაშინ მოსე ნათაძემ. წინდახედული, საქმის მოყვარული, შეგნებული კაცი რომ არ ჩადგომოდა სათავეში ამ დიდსა და წმინდა საქმეს, ვინ იცის, როგორ დაგვევრთხოთ მაჰმადიანი ქართველები“.

1891 წელს, ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით, ბათუმის პირველი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა მიხეილ შარაშიძე. დიდმა ერისკაცმა იგი ასე დამოძღვრა: „დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო მუსლიმებს შორის მუშაობა. გახსოვდეთ, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი დღობა და სიყვარული დაიმსახურო... დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრივ წერა-კითხვასთან ერთად თუ შევავსებინებთ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან გამოირჩევიან სარწმუნოებით“. გულანთებულმა პედაგოგმა მიხეილ შარაშიძემ ბავშვებისა და საქმის სიყვარულით, უანგარო, რუდუნებითი შრომით, ტაქტით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მოსწავლეთა და მოსახლეობას შორის.

პირველ ქართულ სკოლას, იაკობ გოგებაშვილთან და ნიკო ცხადაძესთან ერთად, განსაკუთრებულ მურვეობას უწევდნენ გულანთებული მამულიშვილები: იბრაიმ-ბეგ აბაშიძე, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ექვთიმე ბერძენიშვილი (სკოლის შენობის აგების ერთ-ერთი ორგანიზატორი), შაინ ბოლქვაძე. უ. ალაზაძე, ბათუმის ქალაქის თავკაცი ლუკა ასათიანი, პოეტი გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარძე), გრიგოლ ელიავა, მიხეილ ნაკაშიძე, ილია ფერაძე, ივანე კაკაბაძე, ქეთევან ჟურული და სხვები. რაც შეეხება ჟურნალების ოჯახს, დავით კლდიაშვილის თქმით, ქართული სკოლა ამ ოჯახის მზრუნველობით არსებობდა.

1895 წელს, ბათუმელ ქველმოქმედთა და სხვა პატრიოტთა ძალისხმევით, ბათუმის ქალაქის - თავის ლუკა ასათიანის ხელმძღვანელობით აშენდა პირველი სკოლის ერთსართულიანი შენობა, რომლისთვისაც მინის ნაკვეთი უსასყიდლოდ გამოყვეს იბრაიმ-ბეგ და ხუსეინ-ბეგ აბაშიძეებმა.



ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული პირველი სასწავლო სკოლა ბათუმში



ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის პირველი ქართული სასწავლო სკოლა დღეს

აჭარა - ეროვნული კულტურის აკვანი

მეშვიდე გვერდიდან

სკოლისათვის ფინანსური დახმარების მიზნით, ბათუმში ხშირად იმართებოდა სპეციალური საღამოები, რომლებშიც მონაწილეობდნენ აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, კოტე მესხი და სხვები. საღამოებიდან შემოსული თანხა ეძლეოდა სკოლას და თეატრს.

ბათუმის პირველმა სკოლამ დიდი როლი შეასრულა აჭარაში განათლების სისტემის განვითარების, აჭარელთა ეროვნული თვითშეგნების და აღორძინების საქმეში. იგი გახდა ეროვნული განათლების ფლაგმანი არა მარტო აჭარაში, არამედ მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ქართული სახალხო სკოლების გახსნის საჭიროება დღით დღე იზრდებოდა როგორც აჭარაში ისე შვედეთში. პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილები ხშირად მიმართავდნენ ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, მის მეთაურს ილია ჭავჭავაძეს. მრავალთა შორის ყურადღებას იპყრობს შვედეთის მმართველის - ნური ხიმშიაშვილის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი: „უპირველესად თქვენს ბედნიერებას და კეთილდღეობას ვისურვებ და ვთხოვ ყოველად შემძლე ღმერთს თქვენს წარმატებას და თქვენს დღეგრძელობას... მე მსურს შვედეთში სკოლა დაარსდეს, რათა იქ მცხოვრებთა, რომლებიც ქალაქებს მოშორებულნი არიან, მიეცეს საშუალება აღზარდონ თავისი შვილები და ასწავლონ მათ ჩვენი დედა-ენა...“

გთხოვთ წერა-კითხვის საზოგადოებას მასწავლებელი დაგვინიშნოს და მისცეს მას ჯამაგირი. რაც შეეხება სახლს სკოლისათვის და მასწავლებლისათვის, მე მივცემ მუქთად სადგომს და მის მოწყობილობას და ვალად ვიდებ შევკრიბო ყმანოვლები რიცხვით 60-80, მათ შორის 12 ბეგების ყმანოვლები, ღარიბებს და ობლებს მე თვითონ მივცემ მუქთად სარჩოს...“

თქვენი პატივისცემელი და ერთგული ნური-ბეგ ხიმშიაშვილი 1883 წლის 31 მარტი

სამწუხაროდ, ეს თხოვნა ვერ დაკმაყოფილდა. ქართველი ინტელიგენციის თაოსნობითა და ხალხის მოთხოვნით, 1885 წელს სკოლა გაიხსნა ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში, 1900-1905 წლებში - ქობულეთის რაიონის სოფელ აჭში, კვირიკეში, ბათუმის რაიონის სოფელ ორთაბათუმში, ქედაში, 1886 წელს - დაბა ქობულეთში და ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყაბინში.

1886 წელს ქუთაისის გუბერნიის სკოლების განყოფილებაში სკოლა გახსნა სოფელ მარადიდში, მაგრამ ის მალე დაიხურა. იმავე წელს ალექსანდრე ბერიძის თაოსნობით, სკოლა გაიხსნა ხულოში. მასწავლებლად დაინიშნა ეროვნებით სპარსი, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა. ამის გამო მოსწავლეთა რაოდენობა 30-დან 10-მდე შემცირდა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დაინიშნა ახალი პედაგოგი, რომელმაც ქართული ენა იცოდა. მოსწავლეთა კონტინგენტი კვლავ გაიზარდა.

1908 წლიდან ხულოს ორკლასიან სასწავლებელში მოღვაწეობდა ცნობილი პედაგოგი ბართლომე მეგრელიძე. მისი მეუღლე ადგილობრივ ქალებს, ჭრა-კერვასთან ერთად, წერა-კითხვასაც ასწავლიდა, ესაუბრებოდა, საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა ქვეყნის წარსულისა და აწმყო შესახებ, რითაც აღვივებდა მათ ეროვნულ თვითშეგნებას. ცოლ-ქმარმა დიდი ამაგი დასდო ხულოს რაიონს.

აჭარელთა განათლებისა და ეროვნული თვითშეგნების აღორძინების მიზნით სკოლების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. 1908 წელს სკოლები გაიხსნა ბათუმის რაიონის სოფელ ყორლისთავში და ბათუმში, ბარცხანის უბანში; 1910 წელს - ჩაქვიში; 1913 წელს - ქედის რაიონის სოფელ მახუნციკოში; 1914 წელს - ქობულეთის რაიონის სოფლებში: ხუცუბანში, ალაშხარსა და ქაქუთში, 1916 წელს - სოფელ ბობოყვათში.

ქართული სკოლისადმი ინტერესი აჭარის მოსახლეობას განსაკუთრებით გაუძლიერდა მას შემდეგ, რაც ასპარეზზე გამოვიდნენ ბათუმის გიმნაზიაში დაბრუნებული და რუსეთის უნივერსიტეტში განათლებამიღებული ახალგაზრდები (რეჯებ ნიჟარაძე, თემურ ხიმშიაშვილი, სულეიმან დიასამიძე, ყაზიმ შერვაშიძე, ხასან ლორთქიფანიძე...). ამ ინტერესს აძლიერებდა აგრეთვე გულო-ალა კაიკაციშვილის, აბდულ მიქელაძის, მეშვე და ჰაიდარ აბაშიძეების საგაზეთო პუბლიკაციები.

აჭარაში სკოლების გახსნის ინიციატორი იყო ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება. მოგვიანებით ეს მამულიშვილური საქმე საქველმოქმედო საზოგადოებამაც იკისრა. მათ წარმომადგენლები ჰყავდათ აჭარის მთიანეთშიც. ისინი მოსახლეობაში აღვივებდნენ ქართული წერა-კითხვისადმი, საქართველოს ისტორიისადმი სიყვარულს, რამაც მალე გამოიღო შედეგი.

მოსახლეობა დაბეჯითებით ითხოვდა სოფლებში სკოლების გახსნას. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის წინ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. საქმეს ისიც ართულებდა, რომ 1914 წელს რუსეთის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებმა გამოგონილი ლალატი დასწამეს აქაურ მკვიდრს. მთელი მხარე, განსაკუთრებით მისი მთიანი ნაწილი რეპრესიებმა მოიცვა. ამასობაში ომიც დაიწყო და სკოლების გახსნისათვის აღარავის ეცალა. პირიქით, ომამდე გახსნილი სკოლებიც დაიხურა. ხოლო ბათუმის სასწავლებლები ქუთაისში გახიზნეს.

1915 წლის ბოლოს კვლავ წამოიჭრა აჭარის სოფლებში სკოლების გახსნის საქმე. მაგრამ ხელისუფლება არ ჩქარობდა. მიუხედავად ამისა, ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელმა და

საქველმოქმედო საზოგადოებებმა თავიანთი წარმომადგენლები (იერემია გულისაშვილი, არსენ ნითლიძე და სხვ.) მიაგდინეს აჭარაში. ისინი დარწმუნდნენ, რომ ქართული სკოლების გახსნას მოსახლეობა სიხარულით შეხვდება. 1916 წლის 2 იანვარს, ბათუმში დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება, რომელსაც სათავეში რეჯებ ნიჟარაძე ჩაუყენეს. განყოფილებამ შეიმუშავა სკოლების გახსნის გეგმა, რომელიც აჭარის მოსახლეობის სხვა მოთხოვნებს დაურთეს. 3 მარტს თბილისში ჩავიდა წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელიც შეხვდა მთავარ-მართებელს და, სხვა საჭირობორტო საკითხებთან ერთად, მოითხოვა სოფელად სკოლების გახსნის ნებაართვა.



ყული შარამბა

პირველი ქართული ორკლასიანი სკოლები 1916 წლის შემოდგომაზე გაიხსნა ზემო აჭარის ექვს სოფელში, კერძოდ თხილვანში, ოლადაურში, ფაჩხაში, დიოკნისში, ადაძებსა და ჭვანაში (მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით ოლადაურში სკოლა 1915 წლის ოქტომბერში გაიხსნა). ცნობილი პედაგოგი და მკვლევარი გროგოლ ბაბილოძე ასახელებს პირველ მასწავლებლებს, ხოლო დიოკნისისა და ჭვანის სკოლების მასწავლებლების შესახებ აღნიშნავს, რომ მათზე ცნობები საარქივო მასალებში ვერ ვხვდებით.

ამავე წელს სკოლები გაიხსნა ხუცუბანში, ალაშხარში, ქვემო აგარაში (ქედა), ჩხუტუნეთსა და ზემო აგარაში (ხულო). ასევე სკოლა გაიხსნა წყალსიმერში (შვედეთი). სკოლების პარალელურად, ქობულეთსა და ბათუმში დაარსდა სამკერვალო სასწავლებლები ქალებისათვის, ხულოში - სამჭედლო-საზეინკლო სასწავლებელი. აღნიშნულ სკოლებში სპეციალობებთან ერთად წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ.

ბათუმის მოწინავე ინტელიგენცია, ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, ბათუმის თვითმმართველობის მდივანი ივანე მესხი განსაკუთრებულად ზრუნავდნენ ბათუმში ვაჭთა და ქალთა გიმნაზიების დასაარსებლად. იმ დროისათვის გიმნაზიების დაარსება მრავალ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ხელისუფლებას ზედმეტად მაინც დაეგონებოდა გიმნაზიების გახსნა (მთელ კავკასიაში ფუნქციონირებდა მხოლოდ 8 გიმნაზია). ამ ფონზე ბათუმისნაირ პატარა ქალაქში ძნელი იყო ორი გიმნაზიის გახსნის აუცილებლობის დასაბუთება. ლუკა ასათიანი სპეციალურად გაემგზავრა პეტერბურგს გიმნაზიის გახსნის ნებართვის მისაღებად. მისივე თაოსნობით გიმნაზიის ორსართულიანი შენობაც აიგო (დღეს აღნიშნულ შენობაში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი განთავსებული). მიზანსწრაფულმა შრომამ და ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. 1897 წლის 14 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა ვაჭთა კლასიკური გიმნაზია. უფრო მეტი ენერჯია და ძალისხმევა დასჭირდა ქალთა გიმნაზიის გახსნას. ასეთი სასწავლებლის გახსნის სასტიკი წინააღმდეგი იყო ხელისუფლება. „ქალაქის საბჭომ დაადგინა გიმნაზიის გახსნა და ნებართვა ითხოვა ოლქის მზრუნველისაგან, - წერდა დავით კლდიაშვილი, - ვაგზავნილ შუამდგომლობაზე ქალაქის თვითმმართველობა პასუხი მიიღო მზრუნველ იმონავსისაგან. იგი არტყობინებდა, რომ არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელიგენტი ქალების რიცხვს, რაც სასურველი არ არის, მით უფრო, რომ გიმნაზია უსათუოდ აივსება მზარეულების, პარიკმახერების, მექტილეთა, თერძების და მათი მსგავსი ხალხის შვილებით“.

წინააღმდეგობის მიუხედავად, გულანთებულმა პატრიოტებმა 1900 წელს შეძლეს ბათუმის ქალთა გიმნაზიის გახსნა (დღეს ამ შენობაში №2 საჯარო სკოლაა).

გიმნაზიების პირველ, ანუ მოსამზადებელ კლასებში იღებდნენ 8 წლის ასაკის ბავშვებს. ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულ გრამატიკას, რიტორიკას, პოეტიკას, მათემატიკას (არითმეტიკა, ალგებრა, ლონგიმეტრია, პლანიმეტრია, სტერეომეტრია), გეოგრაფიას, ისტორიას, ფიზიკას, კანონმდებლობის ისტორიას, სოფლის მეურნეობას და სამოქალაქო არქიტექტურას, ადგილობრივ ენებს, ფრანგულ და ლათინურ ენებს, სუფთა წერას, ხატვა-ხაზვასა და ზოგიერთ სხვა საგანსაც ფაკულტატიურული წესით. სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ქართული ენა ისწავლებოდა, როგორც ერთ-ერთი საგანი.

გიმნაზიებს მოჰყვა დაწყებითი სკოლებისა და სხვა ტიპის რამდენიმე სასწავლებლის, ასევე პირველი ბიბლიოთეკის (დღეს აკაკი წერეთლის საჯარო ბიბლიოთეკა) გახსნა.

ცნობილია ასეთი ფაქტიც. როცა ბათუმელი პატრიოტები ხელისუფლებისაგან ქართული სკოლების გახსნაზე უარს იღებდნენ, ხსნიდნენ ე.წ. არალეგალურ სკოლებს, სადაც ბავშვებს უფასოდ ასწავლიდნენ. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანდის დავით კლდიაშვილი, რომელიც პირადად გაეცნო ერთ-ერთ ასეთ სკოლას და მასწავლებელს ვიქტორ ფარცხალაძეს. „ეს ჩემი სკოლაა, - ღიმილით მითხრა ფარცხალაძემ, - წინა ოთახში რომ არიან, ისინი შეიძლება მალე დაგვჭირდნენ, ეცენი კი შემდგომში გამოგვადგებიან!“ (დ. კლდიაშვილი, თბილისი, 1961, გვ. 151-152).

საქართველოს ერთიანობის, ეროვნული სულის აღორძინებისა და მშობლიური კუთხის დაწინაურებისათვის მუხლჩაუხრელად ზრუნავდა ცნობილი მწერალი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი და ჭეშმარიტი მამუ-

ლოშვილი მეშვე აბაშიძე. მისმა საგანმანათლებლო მოღვაწეობამ და პედაგოგიურმა შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონიეს აჭარაში საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, მისი დღევანდელი სახის შექმნაზე.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნისა და მშობლიური კუთხის დაწინაურებისათვის თავდადებით იბრძოდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე. მისი ინიციატივითა და ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების დახმარებით, აჭარაში რამდენიმე სკოლა გაიხსნა. 1916 წელს გულმზურვალე პატრიოტმა სოფელ ყორლისთავში, თავის დედის სახლში გახსნა სკოლა. სკოლის გახსნაზე მან აჭარაში სკოლების საჭიროების შესახებ ილაპარაკა და ქართველ საზოგადოებას ამ საქმეში დახმარება სთხოვა. მან თავის სიტყვა ასე დაამთავრა: „...მამ ვუსურვოთ გამარჯვება პირველ მერცხალს - დღევანდელ ეროვნულ სკოლას.“

გულანთების დარგის აღორძინებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს გულო-ალა კაიკაციშვილს. პედაგოგიური ხასიათის წერილებში იგი ფართოდ აშუქებდა განათლებისა და აღზრდის პრობლემებს. მას ქვეყნის გაძლიერებისა და ხალხის უმეცრებიდან გამოყვანის მთავარ საშუალებად განათლება, ქვეყნის სკოლების ქსელით დაფარვა მიაჩნდა.

1887 წელს ქობულეთში პირველი ქართული სკოლა მისი ინიციატივით გაიხსნა, 2 ჰექტარი საკუთარი მიწის ნაკვეთი გამოყოფა სკოლას. მისივე ხელდასმით რამდენიმე სწავლის მოწყობილი ჭაბუკი გაიგზავნა თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში.

გულანთებული პატრიოტი განსაკუთრებულად ზრუნავდა ქალთა განათლებისათვის. მანვე დააარსა ქობულეთში ბიბლიოთეკა, რომლის პირველი გამგეც თვითონ იყო.

სკოლების გახსნისა და ეროვნული თვითშეგნების აღორძინებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის აბდულ მიქელაძეს. იგი კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს და მისი რწევა-დარიგებით მოქმედებდა.

აჭარის კულტურულ დაწინაურებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს სულეიმან დიასამიძეს. მან 1921 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იყო აჭარის სასკოლმასწავლებლის თავმჯდომარე, მთელი არსებით იბრძოდა განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის.

ქართველი ინტელიგენციის ყურადღება, ზრუნვა და თანადგომა არც მომდევნო წლებში შენდებულა. დიდ მამულიშვილთა ლამაზ ტრადიციებს ჩინებულად აგრძელებდა ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალი, გეოგრაფი, პუბლიცისტი, მოგზაური და საზოგადო მოღვაწე გიორგი ყაზბეგი. იგი რუსეთ-თურქეთის ომის დროს გმირულად იბრძოდა აჭარის თურქი დამპყრობლებისაგან გასათავისუფლებლად. განთავისუფლების შემდეგ კი სკოლებს ხსნიდა აჭარაში.

1915 წელს გაიმართა ქართველთა შორის კულტურულ განმათავისუფლებელი საზოგადოების სხდომა (დაარსდა გ. ყაზბეგის თაოსნობით). განიხილეს აჭარაში სკოლების გახსნის საქმე. ხელმძღვანელობა დაევალა იერემია გულისაშვილს.

აჭარაში ახლად გახსნილ სკოლებში მუშაობის სურვილს გამოთქვამდნენ გურიის, სამეგრელოს, იმერეთისა და სხვა კუთხეების მასწავლებლები. მრავალთა შორის იყო იოსებ მელიქიშვილი. 1913 წელს იგი ხულოს ორკლასიანი რუსული სკოლის გამგედ დაინიშნა. მისი თაოსნობით, გადაწყდა, ხუთ სოფელში გახსნილიყო სკოლა. ორი წელი იღვანა იოსებმა ხულოში, მაგრამ დიდი ნდობა და სიყვარული დამსახურა. მისი მაგალითი ერთეული როდია. 1915 წელს ბახვის სკოლის პედაგოგი კორნელი ბახტაძე საქველმოქმედო საზოგადოებას სწერდა: გთხოვთ, გამგზავნოთ აჭარაში ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლად.

XIX საუკუნის 80-იან წლებიდან ბათუმში დაიწყო ახალი საწარმოების გახსნა. კვალიფიციური მუშაკების მოსაზრებულად, 1888 წელს, გაიხსნა პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მუშათა კადრების მომზადებაში.

1920 წელს, აჭარაში, 50-მდე სკოლაში 150 მასწავლებელი იღვწოდა. მათგან არც ერთი არ იყო აჭარელი. წერა-კითხვა მოსახლეობის მხოლოდ 7%-მა იცოდა. მთიან აჭარაში არავინ იყო წერა-კითხვის მცოდნე. უმაღლესი განათლება აჭარელ მკვიდრთაგან მხოლოდ 3 კაცს ჰქონდა. ერთადერთი ხსნა ის იყო, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ პატრიოტი პედაგოგები აჭარაში, რათა განათლების ჩირაღდანი აენთოთ. ფასდაუდებელია მათი წვლილი. ისინი ჭეშმარიტი განმანათლებლები, მამულიშვილები იყვნენ. მათ მიერ ანთებული ცოდნის ნაპერწკალი, მძლავრ კოცონად ავიგზავნდა და მიწისაგან პირისა აღგავა უცოდინრობა და უნივერსიტეტი.

უპირიანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ძალზე მომქანცველი იყო მასწავლებლის შრომა. ისინი დღისით ბავშვებს ასწავლიდნენ, საღამოთი კი - მშობლებს. ყველა სოფელში მოქმედებდა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო, ე.წ. „ლიკსკოლები“, სადაც იგივე მასწავლებლები მუშაობდნენ.

იმ წლებში გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ ჩამოსულ მასწავლებლებს. ისინი გლეხების ოჯახებში ცხოვრობდნენ, როგორც ოჯახის წევრები. ბევრმა ჩამოსულმა მასწავლებელმა ქალმა ადგილზე შექმნა ოჯახი და ცხოვრება ამ კუთხეს დაუკავშირა. მაღლიერი აჭარის მოსახლეობა არ იფიქრობდა ჩამოსულ მასწავლებელთა თავდადებულ შრომას და მათ წმინდა სახელებს.

მოსწავლა უამოქაადი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის №7 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლის გეგა მებარნიშვილის ნაშრომი „ანბანთქება“ დაჯილდოვდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასკოლო კონკურსის – „14 აპრილი – ქართული ენის დღე“ სიგელით „ორიგინალური ნაშრომისთვის“

 <p>ა-ნი</p> <p>არის, ჩემო კარგო</p>	 <p>მ-ან ს</p> <p>აულერებს ჩემი ენა!</p>	 <p>ღ-ან ს</p> <p>დაუვლის ღმერთის ნებით</p>
 <p>ბ-ან ის</p> <p>ნინა ასო-ბგერა!</p>	 <p>ნ-ან ს</p> <p>ნარნარი ათროთოლებს,</p>	 <p>ყ-ან ს</p> <p>ამანის ძალთა დენა!</p>
 <p>ვ-ან ი</p> <p>რიგში მესამეა,</p>	 <p>თ-ან ს</p> <p>ს ძახილის გამოფრენა,</p>	 <p>შ-ან ს</p> <p>საცვად მოსკდა ცოდნა,</p>
 <p>დ-ან ი</p> <p>ინვეს გულის ძგერას!</p>	 <p>წ-ან ი</p> <p>პარავს ზეცას ხვერდს,</p>	 <p>ჩ-ან ის</p> <p>თვალში გამოჩენა,</p>
 <p>ე-ან ი</p> <p>დონის მერე მოდის,</p>	 <p>ყ-ან ის</p> <p>რიდი კლავს და კდება</p>	 <p>ც-ან ი</p> <p>ვცანი და ვინამე,</p>
 <p>კ-ან ის</p> <p>ვსნავლობ თროთოლვით წერას,</p>	 <p>ზ-ან ე</p> <p>ხარობს ხმის რაკრაკში,</p>	 <p>ძ-ან ი</p> <p>ფუძედ ჩემი ენა!</p>
 <p>ჯ-ან ი</p> <p>ზეგნად მიწვეს თითქოს,</p>	 <p>ს-ან მაც</p> <p>სილბო დაიჩემა,</p>	 <p>წ-ან ი</p> <p>ვარ ქართველი,</p>
 <p>თ-ან ს</p> <p>აკლია ხმა და ჟღერა!</p>	 <p>ც-ან ი</p> <p>ტანად მორჩილია,</p>	 <p>ჭ-ან ი</p> <p>ჩემში აღმაფრენა!</p>
 <p>ი-ან ის</p> <p>რკალი მოხრილია,</p>	 <p>ყ-ან ი</p> <p>ელის დიადემას!</p>	 <p>ხ-ან</p> <p>რუსთველის ვარ კალამი,</p>
 <p>კ-ან მა</p> <p>ყელი მოიღერა.</p>	 <p>ფ-ან ად</p> <p>მინდა ეს ანბანი,</p>	 <p>ჯ-ან ი</p> <p>მაქვს და ჯვარი გენად!</p>
 <p>ღ-ან ს</p> <p>სირბილე შეემატა,</p>	 <p>ქ-ან ის</p> <p>ქარად მადლი ზენა,</p>	 <p>ჭ-ან ე</p> <p>რივით საჭიროა ცოდნით თავის გამოჩენა!</p>

„საუკუნის მომღერლის“ გარეჯული საღამო



...ჩემთვის მეორეხარისხოვანი კონცერტები არ არსებობს. ყოველი გამოსვლა სცენაზე მთავარი და გადამწყვეტია. მე ვიცი, რომ უნდა დავიპყრო მსმენელი...“ – ეს სიტყვები „საუკუნის მომღერალს“, ცოცხალ ლეგენდას, ქალბატონ ნანა ბრეგვაძეს ეკუთვნის. ...ასე მოხდა საგარეჯოშიც, სადაც შეხვედრა გაიმართა მომღერალთან.

მასთან შეხვედრის იდეა ქალბატონ მარინა ურდულაშვილს ეკუთვნის, იდენის განხორციელება კი ქალბატონი ნანის შემოქმედების დიდ თაყვანისმცემელს, ბატონ გია აბულაძეს. ამ შესანიშნავ ინიციატივას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა რაიონის ხელმძღვანელობისაგან. დაიწყო მზადება, კულტურის სასახლის ფოიეში მოეწყო ჰქონდა რაიონის ხელმძღვანელობისაგან. დაიწყო მზადება, კულტურის სასახლის ფოიეში მოეწყო ჰქონდა რაიონის ხელმძღვანელობისაგან. დაიწყო მზადება, კულტურის სასახლის ფოიეში მოეწყო ჰქონდა რაიონის ხელმძღვანელობისაგან.

ნახატიც გადასცა საყვარელ მომღერალს... სცენის გახმოვანება-განათებაზე ზრუნავდნენ ჯემალ, ვანიკო და გაგა თოლოშაშვილები.

ქართული ტრადიციისამებრ, ძვირფასი სტუმარი კონცერტამდე გია აბულაძის ოჯახს ეწვია, სადაც გაცემული და აღფრთოვანებული ათვალეურებდა თავის სურათებს, ესაუბრებოდა იქ შეკრებილ ახლობლებსა და თაყვანისმცემლებს; იხსენებდა პერიოდს, როცა გია აბულაძე გაიცნო, ეს კი, დაახლოებით, 35-40 წლის წინ იყო... მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მეშვეობით გაიცნო ქალბატონი ნანი, მას შემდეგ გრძელდება მათი მეგობრობა, მასვე ეკუთვნის წიგნი: „საუკუნის მომღერალი“, რომელშიც თავმოყრილია რესპუბლიკურ და საზღვარგარეთულ პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული პუბლიკაციები, თაყვანისმცემელთა წერილები, ლექსები, შემოქმედების ამსახველი ფოტომასალა...

„როდესაც ნანი ბრეგვაძეს ვუსმენ, მე თითქოს ვხედავ მშვენიერ

საქართველოს, ვტკბები მისი პოეზიით, მუსიკით... რა საოცარი სულიერი სამყარო იგრძნობა, რამდენი სიტბოა. რამდენი გრაცია!“ (ივანე კობლოვსკი – მომღერალი). ...დაიბ, ყოველთვის, როდესაც ვუსმენთ ქალბატონ ნანის, თითქოს ახალ აღმოჩენას ვაკეთებთ – იგი ისეთი სილამით და სიდიადით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ქართული სიმღერის მიმართ... დაიბ, თითოეული სიმღერა მთელი სპექტაკლია... სწორედ ასეთი სპექტაკლის მოწმენი გავხდით საგარეჯოელები, ქალბატონი ნანის სტუმრობით. სცენაზე გია აბულაძის თანხლებით შემობრძანდა... დარბაზი მაყურებელს და ემოციებს ვერ იტევდა. ქალბატონ ნანის უმღერეს ანსამბლებმა: „ჩინარი“ – (ხელმძღვანელი – ნელი გულიკაშვილი) და „გარეჯი“ (ლოტბარი – მალხაზ ივანელაშვილი); სპეციალურად ამ დღისათვის მოწვეულმა „ბარძიმის ბიჭებმა“ და ჯეოსტარელმა ირინა ბაირამაშვილმა, ზაზა ბუზარიაშვილთან ერთად; ახალგაზრდა მომღერლებმა: სა-

ლომე ქოქიაურმა, მაგდა ივანიშვილმა და სოფო ამირეჯიბმა; უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა თავისი გამოსვლით კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა, ბატონმა ბესიკ ლენაშვილმა, რომელმაც ოჯახთან ერთად დაატკბო მსმენელი, მარინა ურდულაშვილის სტუდიის ბავშვები მხიარული სიმღერით წარდგნენ საყვარელი მომღერლის წინაშე; ქალბატონ ნანის მიესალმნენ აგრეთვე: გია აბულაძე და მარინა ურდულაშვილი, კაკაბეთის საჯარო სკოლის პედაგოგი ნატო პაპუაშვილი, გია ჩალათაშვილი; წაუკითხეს რომან ზუკაკიშვილის ლექსი „ნანი ბრეგვაძეს“, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის დაიწერა.

დარბაზი მოლოდინში იყო... ქალბატონი ნანის სიმღერის მოლოდინში და აი, მათ წინაშე წარდგა საყვარელი მომღერალი ქალიშვილთან – ეკა მამალაძესთან ერთად; რამდენიმე სიმღერის შესრულების შემდეგ მათ კიდევ ერთი სტუმარი – მომღერალი ნუკრი კაპანაძე შეუერთდა. „ამ შესანიშნავ

მომღერალს უნარი აქვს სულიერად აამაღლოს ადამიანი, ზნეობრივად განაცდევინოს სიყვარულის, მეგობრობის, კაცურკაცობის სიბოროტი თაყვანისმცემელი... სწორედ ასეთი ამაღლებული განწყობით ტოვებდა დარბაზს მაყურებელი და შთაბეჭდილებებს ხმამაღლა უზიარებდა ერთმანეთს.

„მიუხედავად იმისა, რომ მთელი კოლექტივი კონცერტის მსვლელობისას ფეხზე ვიდევით, მაინც უდიდესი სიამოვნება მივიღეთ ქალბატონი ნანის მოსმენით, გმადლობთ ამ სასიამოვნო საღამოსთვის“ – გვითხრა მანავის საჯარო სკოლის დირექტორმა, ლია ყორღანაშვილმა.

გარეჯელებს კიდევ დიდხანს გაჰყვებათ ძვირფას მომღერალთან შეხვედრის ემოციები და შთაბეჭდილებები.

თამარ ჯაბადარი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

სულიერ საზრდოდ მოვლენილი „იხედის დასი“

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების, წითელი ჯვრის საგარეჯოს ადგილობრივი ორგანიზაციის, დანიის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარსფეროს საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის მხარდაჭერით, 2009 წლის 12 ნოემბერს, საგარეჯოში ჩატარდა კონკურსი მოხალისეთა ჯგუფების სოციალურ ინიციატივათა შესარჩევად, სადაც გადაწყდა ზუთი მინი-პროექტის ფინანსური მხარდაჭერა. ერთ-ერთი ასეთი მინი-პროექტი წარმოადგენდა იქნა ჯგუფ „იმედი“ მიერ (ლიდერი – №4 საჯარო სკოლის პედაგოგი, ქალბატონი ნანული ბილანიშვილი), რომელიც ითვალისწინებდა სოციალური თეატრის შექმნას და მასში დევნილი და ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზრდობის ჩართვას.

პროექტის განხორციელების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ: დანიის წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენელი მარინა ლიბტუვა, საქართველოს წითელი ჯვრის ფილიალების განვითარების უფროსი ოფიცერი ნინო სამადალიშვილი, წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ცისმარი პეტრიაშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი ელისო კობტაშვილი. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელა დანიის წითელი ჯვრის საზოგადოებამ.

სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, თეატრი „იმედი“ ასტრიდ ლინდგრენის სპექტაკლით „პეპი გრძელი წინდა“ წარდგა მაყურებლის წინაშე.

სპექტაკლს ესწრებოდნენ: წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარსფეროს საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, საქართველოს წითელი ჯვრისა და ადგი-



ლობრივი წითელი ჯვრის საზოგადოების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წარმომადგენლები. ყველა მონაწილეს გადაეცა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და წითელი ჯვრის საზოგადოების დიპლომები, ასევე ფასიანი საჩუქრები წითელი ჯვრის ორგანიზაციისაგან, თეატრის დასს კი – მუსიკალური ცენტრი.

ნანული ბილანიშვილი: „საგარეჯო ჯერ კიდევ სოფელი იყო, როდესაც კავთისხეველმა ქაბუკმა ალექსანდრე ცხევაძემ, 1876 წელს, აქ პირველი სპექტაკლი – „ბედნიერი ქორწილი“ დაადა და ამით სახალხო თეატრს ჩაუყარა საფუძველი. თეატრის მუშაობა დღემდე არ შეწყვეტილა. ყველა თაობის რეჟისორთა და მსახიობთა თავდადება მუშაობამ საგარეჯოს თეატრს დიდი ავტორიტეტი შესძინა. თეატრის სიყვარული ოჯახმა ჩამინერგა და აგერ უკვე ოთხი ათეული წელია, ამ დასის წევრი ვარ.

ჩვენი ბავშვები კულტურული ღონისძიებებით განებივრებულები არ არიან, არადა მათი სულიერი გამდიდრებისათვის ეს აუცილებელია. მოსწავლეებს საკუთარი თეატრი უნდა ჰქონდეთ. ამით თავისუფალი დროის პრობლემაც მოიხსნება. სასცენო მეტყველება დიდ გავლენას ახდენს ნორჩი მაყურებლის მეტყველების კულტურაზე. სცენიდან გავებულ სიტყვას სხვა-ნაირად აღიქვამენ. თეატრალურ წარმოდგენაზე დასწრება მოზარდის მხატვრულ გემოვნებას ხეწს, აღქმისა და მეტყველების კულტურას უფრო ახდენს.

ჩვენი სკოლა საგარეჯოს ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს, კახეთის გზატკეცილის პირას, აქ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული ოჯახის შვილები სწავლობენ. შარშანწინ გორელი ბავშვებიც შემოგვიერთდნენ (საკუთარი მიზან-წყლიდან აყრილი ასამდე მოზარდია ჩვენი

თან), №4 საჯარო სკოლის მოსწავლეები აგრეთვე სოციალურად დაუცველი და მატერიალურად ნაკლებზრუნველყოფილი ოჯახის შვილები არიან. მათ ხშირად ვეზმარებით ეკონომიკურად, მაგრამ სულიერი საზრდოდ აუცილებელია. ვცდილობთ, შევუმსუშუქოთ სახლ-კარის დაკარგვით გამოწვეული ტრავმა.

პროექტს ახორციელებს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან არსებული ბავშვთა თეატრალური ჯგუფი „იმედი“, რომლის წევრები არიან მოსწავლეები: მარი და ლანა ბერძენიშვილები, თემურ გეთია, მარი ლალიაშვილი, ლუკა რობაქიძე, ლიკა ჭიაბერაშვილი, გიორგი თედიაშვილი, მიხეილ გოცირიძე, ნუკრი დარბაისელი, ნუგზარ და მარი აზარიაშვილები, მარი და ნატო თამაზაშვილები, სოფო გოგაშვილი, ნინი და ლიკა აზნაურაშვილები, ანი მასლუაშვილი, თამარ დარისპანაშვილი.

პროექტის განხორციელებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ჩვენი მიზანია, მოსწავლეებს თეატრი შეეყვაროთ, თავისუფალი დროის პრობლემა მოვუხსნათ და უფასოდ მოვემსახუროთ სოციალურად დაუცველსა და ეკონომიკურად ნაკლებზრუნველყოფილი ოჯახის შვილებს.

მოსწავლეთა თეატრში დაიწყო მუშაობა მაყვალა გონაშვილის „ოთხფერა კუნძულზე“. ნორჩი მსახიობები გაეცნენ ნაწარმოების ავტორის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას, კარგად შეისწავლეს მოქმედ პირობა სასიამოვნო, განანილდა როლები და რეპეტიციებიც დაიწყო, ამისთვის კვირაში ორი დღეა გამოყოფილი. იმედი აქვთ, რომ სასწავლო წლის დასასრულამდე მაყურებელს პრემიერას შესთავაზებენ.

ლეილა არჩვაშვილი

ჩატახილი ხიდის აღსადგენად



ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია შიდა ქართლში, მდინარე ლიხავის აუზში მდებარეობს. ნიქოზელის ძველ სამწყსოში – ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე – დღემდე არსებობს ძველი ქართული ქრისტიანული კერების ნაშთი. ისტორიული ვითარების გამო, ქართველური მოდგმის – დვალელების ძველი საცხოვრისი – დვალეთი ქართველთაგან დაცლილა, თუმცა მადრან დვალეთსა და მის ჩრდილოეთით, ზრუგდონის ხეობაში, ქართულ ეკლესიათაგან შემორჩენილია მარია მღვთისმშობლის ტაძარი, ასევე სოფელ ნუხალის ეკლესია.

ნიქოზის „ტაძარს აქუნდა თავისი სასწავლებელი, სადაც ასწავ-

ლიდნენ ოვსთა შვილებს ნერაკითხვას ქართულ ენაზე“.

დღეისათვის სულ სხვა სურათია. მამულიდან აყრილი ქართველობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშია გაფანტული, იქაური ძირძველი მკვიდრი, საკუთარ ნამოსახლარზე დაბრუნებას ვერ კიდევ ვერ ბედავს. უძველეს ქართულ სალოცავთა დიდი ნაწილი დანგრეული ან მთლიანად განადგურებულია და ძველ საღვთისმსახურო კერებზე ნირვა-ლოცვა აღარ აღესრულება. ბოლო დროს ამ მხარეში სამღვდელმთავრო კათედრის აღდგენა ამ კუთხის მრავალგანსაცდელგამოვლილი მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. მცდელობა იმისა, რომ აღდგეს ურთიერ-

ობა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური მრწამსის ადამიანებს შორის, ჰქონდათ თბილისის 148-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ ვალერიან გიორგაძეს და 149-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მაია მშვიდლობას.

148-ე საჯარო სკოლა რუსულენოვანია, აქ სწავლობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ხოლო 149-ე საჯარო სკოლა ქართულენოვანია. შედგა საინტერესო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა არა მხოლოდ რუსულ-ქართული სკოლების დამეგობრებას, არამედ დამეგობრებას კონფლიქტურ ზონაში მყოფ მოსახლეობასთან.

თბილისის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუ-

ტატობის კანდიდატის ვ. ცაგარეიშვილის დახმარებით გამოიყო ავტობუსი და გიორგობის დღეს, 6 მაისს, ზემოაღნიშნული სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები გაემართნენ შიდა ქართლში. მათ მოინახულეს სოფელ ნიქოზის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; აღფრთოვანებულნი დარჩნენ ლიხავის ხეობის სილამაზით. დიდი იყო გულისტკივილიც, რადგან არსებული მდგომარეობის გამო ვერ შეძლეს ცხინვალის რეგიონში დარჩენილი ეკლესია-მონასტრების მონახულება.

ნიქოზიდან 148-ე და 149-ე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები სოფელ ვარიანის საჯარო სკოლას (დირექტორი – ლია ნიკლაური) ეწვივნენ.

ეს იყო ძალიან გულთბილი შეხვედრა. მასპინძლები და სტუმრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცეკვასა და სიმღერაში, ლექსების თქმაში. ბავშვები თბილისში აღფრთოვანებულნი დაბრუნდნენ. ივნისის თვეში დაიგეგმა ვარიანის საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების თბილისში მოპატიჟება.

ასეთი მეგობრული ურთიერთობები აუცილებელია, რათა გაბზარული გული გამთელდეს, ჩატახილი ხიდი აღდგეს.

მხოლოდ მშვიდობა და მეგობრობა გადაარჩენს ჩვენს ერს.

ნონა კეპელიშვილი
149-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ინფორმაცია

მცხეთის მე-2 საჯარო სკოლის 30-მდე მეთორმეტეკლასელი მოსწავლე, „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხო სკოლის პროგრამის“ ფარგლებში, ვაზიანის სამხედრო ბაზას ეწვია. მეგზურობა მეოთხე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცებმა გაუწიეს. მოზარდებმა სამხედრო ტექნიკა დაათვალიერეს, ნახეს, რა მომზადებას გადიან მეომრები და როგორ არიან აღჭურვილნი. მათ ჯარისკაცთა საკვებიც დააგემოვნეს. ლონისძიებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკა ძიმციანი მონაწილეობდნენ.

ახალი სასწავლო წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, სკოლებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალი სასწავლო კურსის შემოღებას გეგმავს. აქედან გამომდინარე, ანალოგიური ერთობლივი ღონისძიება თავდაცვის სამინისტროსთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სკოლებში ახალი საგნის შემოტანის ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია. სასწავლო კურსის მიზანია, მომავალ თაობას ადრეული ასაკიდან ჰქონდეს წარმოდგენა სხვადასხვა საფრთხეებზე; იცოდეს, როგორ დაიცვას თავი საგანგებო მდგომარეობაში; იცოდეს, რა სამხედრო ტექნიკა აქვს ჩვენს ქვეყანას და როგორ ხდება მისი გამოყენება. სასწავლო კურსი, ასევე, შეისწავლის საგზაო უსაფრთხოებას, პირველად სამედიცინო დახმარებას, ქართული ჯარის ისტორიასა და ქართული არმიის შეიარაღებას.

ახალი დისციპლინის შესწავლა, საქართველოს მასშტაბით, 10 საპილოტე სკოლაში მიმდინარეობს, მათ შორისაა მცხეთის მე-2 საჯარო სკოლა. 2010-2011 სასწავლო წლიდან საგნის სწავლება ყველა სკოლაში დაიწყება და სამ ეტაპად დაიყოფა – დაწყებითი კლასის მოსწავლეები შედარებით მარტივი ფორმით ისწავლიან, მომდევნო კლასებში კი დისციპლინას სხვა მიმართულებები დაემატება. სამხედრო-პატრიოტული სწავლება ისეთივე რიგითი საგანი იქნება, როგორც ისტორია, გეოგრაფია და ა.შ.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და სამინისტროსთან შექმნილი მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ საბჭოს პირველ სხდომაზე საზოგადოებას მრჩეველთა საბჭოს სრული ათწევრიანი შემადგენლობა წარუდგინეს.

მრჩეველთა საბჭო საზოგადოებისთვის ცნობილი და ღვანდომოსილი პიროვნებებისგან დაკომპლექტდა. ამიერიდან, აკადემიკოსები, ღვანდომოსილი პედაგოგები, ექსპერტები და ჯიხნისის წარმომადგენლები განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩაერთვებიან.

მრჩეველთა საბჭოს პირველ სხდომაზე რეფორმების მიმდინარეობაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებებზე, მასწავლებელთა სერტიფიცირებასა და სხვა საკითხებზე იმსჯელეს. საბჭოს წევრების მოსაზრებით, სამინისტროს გახსნილობა და პროცესში გამოცდილი ადამიანების ჩართვა რეფორმების წარმატებით განხორციელების საწინდარია.

აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე, პროფესორი თედო ნინიძე, პროფესორი ანზორ ხელაშვილი, დამსახურებული პედაგოგები – ლიანა შენიჭილი, ლია ჭანკვეტაძე, მზია ხიტური და თინათინ ჯიშიაშვილი, სახელმწიფო მართვის მაგისტრი, საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ექიმი-პედიატრი ნუგზარ უბეიდა და სადაზღვევო ფაქტის „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ რამიშვილი რეკომენდაციებს შეიმუშავებენ და განათლების მინისტრს წარუდგენენ.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, რეფორმების მიმდინარეობის პროცესში აუცილებელია საზოგადოების აქტიური ჩართულობა, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას ღვანდომოსილი, დამსახურებული და პროფესიონალი ადამიანების მხარდაჭერისა და რეკომენდაციების გაზიარება. „მთავარი ვარა, რომ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა სწორედ ასეთი პიროვნებებისგან დაკომპლექტდა,“ – აღნიშნა მინისტრმა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შექმნილი მრჩეველთა საბჭო სისტემატურად შეიკრიბება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში სამაგისტრო პროგრამებში სწავლის გაგრძელების მსურველებისთვის სპეციალური გამოაცხადა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს 40 წლამდე, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი და ჭამინისტროს საიტზე ჩამოთვლილი საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებზე უკვე ჩარიცხულნი არიან. კონკურსი 31 მაისამდე გაგრძელდება. გამარჯვებულების საზღვარგარეთ სწავლებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დააფინანსებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მომავალი თაობისთვის განათლების ხელმისაწვდომობაზე ზრუნავს. მიუხედავად სოციალური სტატუსისა, ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სწავლა მსოფლიოს ისეთ წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელოს, როგორცაა: ოქსფორდი, კემბრიჯი, სორბონა და სხვ.

„საქართველოს მომავალი სწორედ განათლებულ მომავალ თაობაშია და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ყველა სოციალური სტატუსის მქონე ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის საზღვარგარეთ სწავლება ხელმისაწვდომი გავხადოთ,“ – აღნიშნა დიმიტრი შაშკინმა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე – mes.gov.ge – ჭაპეციალურად გამოყოფილ გრაფაში – სამაგისტრო პროგრამები უცხოეთში – უნდა გაიარონ. მსურველები ვებგვერდზე, ასევე, მოიპოვებენ: კონკურსის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას და იმ უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალს, სადაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მათ სწავლებას დააფინანსებს.



ჩემპიონები ანკარაში

საქართველოს მოჭიდავეთა ახალგაზრდული გუნდები - „თავისუფლები“ და ბერძენ-რომაელები ამ დღეებში ანკარაში ამავე ასაკის მოჭიდავეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში იჭიდავენ, რომელსაც ასე ეწოდება - „ჩემპიონები“.

ჩვენი ახალგაზრდები, იენის-ივლისის მიჯნაზე, ბულგარულ სამოკოვოში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მათ გეგმით გათვალისწინებული ერთი ტურნირი ჩაეშალათ - აპრილში ბაქოში აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე უნდა ეჭიდავთ, მაგრამ ისლანდიური ვულკანის გამო პარალიზებულმა ევროპის საპაერო სივრცემ ის შეჯიბრებაც ჩაშალა. ამჯერად მწვრთნელებს ანკარაში ორ-ორი შემადგენლობა მიჰყავთ, თუმცა, ზოგიერთ ნონაში ოთხი მონაწილეცაა. ამის მიზეზი ორგანიზაცია - ევროპის ჩემპიონატს, სულ რაღაც, ერთ თვეში მსოფლიოს პირველობა მოსდევს (20-25 ივლისს ბუდაპეშტში გაიმართება) და მწვრთნელები ორ-ორ შემადგენლობას არჩევენ, რადგან დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ორი პირველობის ხოვანი შეჯიბრების ჭიდაობა უფროსებსაც არ ძალუძთ, არათუ ახალგაზრდებს. მეორე მიზეზი თაობათა ცვლაა, რომელიც გაისად ორივე ნაკრებს შეეხება, უფრო მწვავედ კი - „თავისუფლებს“. ამიტომ მწვრთნელები აქედანვე იჭერენ თადარიგს და საგაისო ნაკრების პოტენციურ კანდიდატებს წლებულსვე სცდიან, აქედანვე აჩვენებთ მათ დიდ ტურნირებს.

„თავისუფალთა“ თავკაცმა ნუგზარ სხირემა გუნდში **ლამა ტალახაძე** (50), **ლამა ლომთაძე**, **ვლადიმერ ხინჩგაშვილი** (ორივე - 55), **თენგიზ ჩოჩიშვილი**, **ვასილ მამულაშვილი** (60), **დავით ტლაშაძე**, **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი**, **ივანე ახალაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი**, **მამუკა კორძია** (84), **თორნიკე ხიდუშელი**, **შოთა მეტრეველი** (96), **ლევან ბერიანიძე**, **გიორგი საკანდელიძე** და **ვალერი გზირიშვილი** (120) შეიყვანა.



ბერძენ-რომაელთა ნაკრებს, ოჯახური პრობლემების გამო, მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ადვიშვილი** ვერ მიჰყვება. მის ნაცვლად, გუნდს **ზაზა სილაგაძე** უთავადაცებს, ტურნირში კი იჭიდავენ: **თორნიკე მახარაძე**, **გენადი ქუთათელაძე** (50), **მინდია ნულუკიძე**, **გიორგი გოგიბერაშვილი** (55), **გოგიტა გოგიბერაშვილი**, **ქემალ ხარაბაძე** (60), **გიორგი** და **საჩინო დავითაიები**, **დავით ტაკაშვილი**, **თორნიკე ნაჭყებია** (66), **უშანგი ჩიტიაშვილი**, **ზურაბ** და **გიორგი დაუნაშვილები** (74), **არსენ კახაბრიშვილი**, **დავით ჩაკვეტაძე**, **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **ბექა ჩოფლიანი**, **ირაკლი ქაჯაია**, **ალექსანდრე დიხამინჯია**, **ამირან ზარნაძე** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120), მძიმე ნონაში მწვრთნელებს სერგოს უმცროსი ძმა, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი **შოთა გოგისვანიძე** (ფინალი ძმასთან ნააკო) უნდა წაეყვანათ, მაგრამ ტრავმა მიიღო.

ამ ტურნირის შემდეგ ორივე ნაკრები შეკრებას გაივლის: „თავისუფლები“ - დუშეთში, ბერძენ-რომაელები - ბათუმში. ევროპის ჩემპიონატამდე ბერძენ-რომაელები საბერძნეთში საერთაშორისო ტურნირშიც გამოვლენ, „თავისუფლები“ კი მეტ ტურნირს აღარ გეგმავენ. დასკვნით შეკრებას ორივე ნაკრები დუშეთში გაივლის.

ამჟამად შეკრებაზეა ჭაბუკთა ორივე ნაკრებიც, რომლებიც 14-26 აგვისტოს სინგაპურში გასამართი მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან. ეს შეჯიბრება 21-23 მაისს პოლონურ პოზნანში ჩატარდება და იქ „თავისუფლები“ 45, 54, 63, 76 და 100 კილოგრამ ნონით კატეგორიებში იჭიდავენ, ბერძენ-რომაელები - 42, 50, 58, 69 და 85-ში. ორივე სტილის მოჭიდავეთა ტურნირში, თითოეულ ქვეყანაზე, მხოლოდ ორი კვოტაა დაშვებული.

ძართული ღუბატი გერმანიაში

ტყვიის სროლა ფრიალ უცნაური სახეობაა საქართველოში. ამ სახეობაში მოქმედ სპორტსმენთა შორის ყველაზე ტიტულოვანი გვეყავს: სამივე ოლიმპიური მედლის მფლობელი, მსოფლიოს შვიდგზის და ევროპის 14-გზის ჩემპიონი, მაგრამ თავად სახეობა ქვეყანაში მაინც არაა პოპულარული. ძირითადი მიზეზი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეფიციტია - არ არის სასროლეები (განსაკუთრებით - ღია), პისტოლეტები, ტყვიები... ქვეყანაში იარაღის და ტყვიების შემოტანა დიდი პრობლემაა, ეს სინდრომი კი სროლაზეც აისახება.

საბუნდოვანად, ბოლო წლებში ვითარება ძნელად, მაგრამ მაინც იცვლება სასიკეთოდ. საქმეს დიდად წაადგა სალუქვადის მიერ დახურული ტირის გახსნა, რომელიც უკვე მსოფლიო დონაზეა დასაბუთებული. მართალია, ის პრინციპულად განსხვავდება ღია ტირისგან და ერთ დროს მოწინავე ინვენტარიც უკვე ჩამორჩა თანამედროვეებს (როგორც სხვაგან, ტექნიკა აქაც ძალიან სწრაფად ვითარდება), მაგრამ სულ არარაობას მაინც სჯობს და ვარჯიშის მსურველთა რაოდენობამაც იმატა. შედეგად, იმედისმომცემი ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ. ამ დღეებში ორი მათგანი - თბილისელი **ანა გაგილაძე** და ქუთაისელი **ნინო ფანჩულიძე** გერმანულ ზულში იმყოფებიან, სადაც ახალგაზრდების დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. ჩვენები მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გამოვლენ.

სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო, იქ სხვების გაგზავნა ვერ მოხერხდა. ეგ კი არა, წასასვლელი ფული ამათაც თვითონ იშოვეს. არადა, მსგავსი შეჯიბრებები ახალგაზრდებს პაერივით სჭირდებათ. სწორედ მათ დაოსტატებებს ემსახურება ზულის ტურნირი, რომელიც მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. როგორც და ავტორიტეტული მიუხედავად, სადაც ტურნირი უფროსებში პოპულარულია, ასევეა ზულის ტურნირი ახალგაზრდებში.

იმ შემთხვევაში, თუ ეს დუეტის გერმანიაში წარმატებით გამოვა და დამაიმედებელ შედეგს აჩვენებს, ჩვენი გუნდის სინგაპურში გასამართი მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების შესარჩევი შეჯიბრებებზე გაგზავნის საკითხიც დადგება, რაც ამ წუთისთვის ძალზე ბუნდოვანი ჩანს. ვიმეორებთ, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა გერმანიაში ჩვენების შედეგიან გამოსვლაზე დამოკიდებულია.

კახეთმა ჭაბუკაში იმორჩაღა

ჭაბუკ ძიუდოსტთა უფროსი ასაკის ფალანგები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც იენისის ბოლოს ჩემპიონ ტეპლიცეში გაიმართება. უმცროსი ასაკის, ანუ 1996-97 წლებში დაბადებულებმა კი ამ უქმეებზე დილომში მდებარე

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში საქართველოს ჩემპიონატში იჭიდავენ. ბავშვთა ტურნირები მუდამ დიდი აჟიოტაჟით მიმდინარეობს და გამონაკლისი არც ეს შეჯიბრება ყოფილა - მასში 241 მოზარდი მონაწილეობდა.

შეიძლება ითქვას, რომ ტურნირმა კახელთა სრული უპირატესობით და ტრიუმფით ჩაიარა - რვა ოქროს მედლიდან ხუთი ხომ მოიპოვეს და დამსახურებულად მოიგეს გუნდური პირველობა, მათი წარმომადგენლები სხვა გუნდის შემადგენლობაშიც გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები. კახელებმა პირველ სამ ნონით კატეგორიაში ვერ იყოჩაღეს, თორემ მომდევნო ხუთში პირველობა არავისთვის დაუთმიათ.

ეს ასაკი ერთგვარად გარდამავალია ჭაბუკთა ნაკრებისკენ. შეიძლება ითქვას, მისი რეზერვია და დიდ ყურადღებასაც იქცევს. სასიამოვნოა, რომ მოზარდებმა იმედი გაამართლეს და სასახაობრივად საინტერესო ორთაბრძოლები შემოგვთავაზეს.

ნონით კატეგორიების მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ: იმერეთის გუნდის ნევი **გიორგი ხმელიძე** (38), მცხეთა-მთიანეთის წარმომადგენელი **გიორგი ნინიაშვილი** (42), თბილისელი **ბექა ნათათარაშვილი** (46) და კახელები - **თორნიკე მახარაძე** (50), **თამაზ კირაკოზაშვილი** (55), **ზვიად მრელაშვილი** (60), **ჯანო ჩურჩხელაშვილი** (66) და **დავით რამაზაშვილი** (+66).

მაისის ბოლოს, იმავე დარბაზში, საქართველოს ჩემპიონატი უკვე ახალგაზრდებს შორის გაიმართება, რაც უდავოდ საინტერესო ტურნირი იქნება. ამ ასაკის ფალანგებს ჭაბუკებზე ბევრად დატვირთული საერთაშორისო კალენდარი აქვთ - თუ უმცროსებს წლებულს მხოლოდ ევროპის პირველობა ელოდებათ (მსოფლიოს ჩემპიონატი აქ ყოველ მეორე წელიწადს იმართება და გაისად უნევთ), ახალგაზრდებმა წლებულს ევროპის პირველობაზეც უნდა იჭიდაონ (17-19 სექტემბერს სოფიაში) და მსოფლიოზეც (21-24 ოქტომბერს მაროკოში), რასაც 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატიც დაემატება, რომელიც 19-21 ნოემბერს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. იმ ასაკში, ტრადიციულად, ახალგაზრდული ნაკრების დიდი ნაწილი ხვდება. საქართველოს ჩემპიონატი ამ ტურნირებისთვის შესარჩევი ერთ-ერთი მთავარი ეტაპია, თუმცა ყურადღებას მიაქცევდით, ეს სოლიდური შეჯიბრებები ლამის ერთმანეთის მიყოლებით, სულ რაღაც თითოთვიანი ინტერვალებით რომ ტარდება. ასეთი ცაიტოტის გამო ახალგაზრდული ნაკრების თავკაცებს მუდამ ორ-ორი შემადგენლობის განსაზღვრა უნევთ. **სოსო ლიპარტელიანი**ც ასეთი ამოცანის წინაშე დგას.

ონა გოგაჯიშვილს უმასპინძლა

გასულ უქმეებზე ონში დიდი სპორტული ზეიმი გაიმართა - იქაურობამ კიდევ ერთხელ მიაგო პატივი თავის სახელოვან შვილს, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის, ოლიმპი-

ურ და ევროპის ჩემპიონ **დავით გობეჯიშვილს** და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის მისი სახელობის ტურნირი ჩაატარა. ეს შეჯიბრება ტრადიციულად ტარდება, ოღონდ შიდა სტატუსისა და მასში უცხოელები არ მონაწილეობენ.

ტურნირში 100-მდე მოზარდი შეიკრიბა ქვეყნის მთელი მასშტაბით, თუმცა იყო გამონაკლისიც - ტურნირისგან გაათავისუფლეს ისინი, ვინც დღეს სტამბოლში საერთაშორისო ტურნირზე მიდნენ. ცხადია, ლიდერთა არყოფნაში მედალოსანთა შორის, ძირითადად, ახალი კადრები ვიხილეთ, თუმცა ეს მისასალმებელიცაა - ამით მათ სტიმული მიეცემათ. მასპინძელთა გასახარად, მედალოსანთა შორის ორი ონელია - **გაბრიელ გოგრიჭანი** (60) და **დავით გობეჯიშვილი** (120). ოლიმპიური ჩემპიონის მოსახელე და მოგვარე მისი ახლო ნათესავია - ბიძაშვილის შვილი. ვისურვოთ, მისი სახით საჭიდაო სამყაროს ისევ მოევიწყოს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი. ნონით კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბათუმელი **ამირან ცეცხლაძე** (50), ქუთაისელები - **ოთარ გოგავა** (55) და **ოთარ უროტაძე** (84), რუსთაველი **გიორგი კაციტაძე** (60), ხაშურელი **ლევან ქელენსაშვილი** (66) და თბილისელები - **ილია ხუციშვილი** (74), **თედორე ებანოძე** (96) და **შანში არაბული** (120).

ჭაბუკთა საჭადრაკო ტურნირები

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დამთავრდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის გათამაშება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. 8-წლიანთა შორის ჩემპიონობა **ანასტასია სიღამონიძემ** და **ლუკა ობოლაძემ** მოიპოვეს ქულათა მაქსიმუმით - 7-7 ქულით. ვერცხლის მედლები - **მარი მანაიძემ** და **ანტონ ნადირაძემ** მოიპოვეს, ბრინჯაო - **თათა პაპაშვილი** და **ტატო ცაგარეიშვილი**.

სიღამონიძემ და ნადირაძემ 10-წლიანებშიც მოსინჯეს ძალები და ბრინჯაოებიც მოიპოვეს. აქ გოგოებში პირველობა არავის დაუთმო **მარი ნამალაშვილმა**, ვერცხლი კი **სალომე ხუცურაულს** ერგო. ამ ასაკის ვაჟებში ყველას **კოკა ბუკიამ** აჯობა, მეორეზე კი **გური ჭყელიძე** გავიდა.

ამ დღეებში საკმაოდ წარმომადგენლობით და ძლიერ ტურნირს უმასპინძლა ქუთაისის ჭადრაკის სასახლეშიც, სადაც უფროსთა შეჯიბრების პარალელურად, ასაკობრივი ტურნირებიც ჩატარდა. 16-წლამდელთა შორის **გიორგი სიბაშვილმა** და **მერი არაბიძემ** იმარჯვეს, 14-იანებში - **ტატო ქოჩაკიძემ** და **ანა შამათავამ**, 12-წლამდელთაში - **ნოე თუთისანმა** და **თინათინ ლალაძემ**, 10-იანებში - **გურამ კოკიამ** და **ნინო ჯალალონიამ**.

რუბრიკას უძღვება **ირაკლი თაბაძე**

<p>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</p>	<p>მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.</p> <p>www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru</p>	<p>რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</p>
	<p>რედაქციის № 2/4-1609, 06დამსკი ხალხმწიფარისთვის: 76096</p> <p>გაზეთი რედაქციაშია დიდუბის რაიონის სასამართლოში მდებარე.</p>	
<p>რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>		